ასეთი წინასწარი შეფასებების გაკეთება შესაძლებელი გახდა, იმიტომ რომ არსებობდა მსოფლიო გამოცდილება, თუ ერთნაირი შენობათა რაოდენობა დიდია რეგიონში, რომელსაც შეეხო მიწისძვრა, შენობათა დაზიანების ხასიათი ემორჩილება მკაცრ სტატისტიკურ განაწილებას. დაზიანებათა განაწილების ამ სტატისტიკურ მრუდს დამაკმაყოფილებლად აღწერს დაზიანებათა ხარისხის 5 გრადაცია, რომლებიც შემოთავაზებული იყო მიწისძვრის ინტენსიობის შეფასებისას მაკროსეისმურ სკალებში და აპრობირებულია მთელ მსოფლიოში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოთ მოყვანილი თანამედროვე მეთოდოლოგია და პროგრამებიც ეფუძნება შენობების დაზიანების იგივე გრადაციას. შემდგომ დღეებში შენობა-ნაგებობების სრულმა შემოწმებამ (16 000-მდე) დაადასტურა სტატისტიკური განაწილებები, რომლებიც გამოყენებულ იყო ოპერატიული შეფასების გასაკეთებლად.

თბილისში გავრცელებული სხვადასხვა კონსტრუქციულ სქემებში გადაწყვეტილი საცხოვრებელი შენობების რაოდენობა და მათი კლასიფიკაცია დაზიანებადობის კლასის მიხედვით მოყვანილია ცხრ. 3-ში (2002 წლის მონაცემებით [3, 5]), ხოლო ვიზუალური სახით პროგრამა GIS-ში ნახ. 2-ზე.

ევროპული ტაქსონომიით [4] ქვის შენობებში გამოიყოფა 7 ძირითადი კლასი პირობითი აღნიშვნით M1-M7 (ცხრ. 4).

თბილისში გავრცელებული სხვადასხვა კონსტრუქციულ სქემებში გადაწყვეტილი საცხოვრებელი შენობების რაოდენობა და მათი კლასიფიკაცია დაზიანებადობის (მოწყვლადობის) კლასის მიხედვით (2002 წლის მონაცემებით)

შენობათა ტიპები	დაზიანებადობის კლასი						შენობების რაოდენობა
	A'	A	B	C	D	E	
1. 1-3 სართულიანი ძველი ტიპის აგურის (ქვის) შენობები		⊖					33127
2. იგივე აშენებული ანტისეისმური ღონისძიებების გათვალისწინებით			○				5092
3. 4-8 სართულიანი აგურის შენობები		⊖					4026
4. 9 სართულიანი სიმაღლის აგურის შენობები კომპლექსური კონსტრუქციებით			⊖				127
5. 9 სართულამდე სიმაღლის მსხვილბლოკური შენობები			⊖				2633
6. 5-12 სართულიანი მსხვილპანელური შენობები					⊖		952
7. 16 სართულამდე სიმაღლის ანაკრები რკინაბეტონის შენობები (კარკასული)			⊖				150
8. 5-16 სართულამდე სიმაღლის მონოლითური რკინაბეტონის კარკასული და უკარკასო შენობები				⊖			85
9. ყველა აღნიშნული ტიპის შენობა დაზიანებული კონსტრუქციებით	○						3080
სულ 49272							

- შენობების დაზიანების ყველაზე მოსალოდნელი კლასი
- მოსალოდნელი დიაპაზონი
- ნაკლებად მოსალოდნელი დიაპაზონი.


ევროპული ტაქსონომიით (ELER) ქვის შენობებში გამოიყოფილი 7 ძირითადი კლასი პირობითი აღნიშვნით M1-M7

№	კოდი	დასახელება
1	M1	ყორე ქვის წყობა (Rubble stone)
2	M2	ალიზის წყობა (adobe, earth bricks)
3	M3	ფლეთილი ქვის წყობა (simple stone)
4	M4	მასიური ქვის წყობა (massive stone)
5	M5	ძველი ქვის (აგურის) წყობა (masonry old bricks)
6	M6	ქვის (აგურის) წყობა რკინაბეტონის გადახურვით (masonry RC floors)
7	M7	ქვის (აგურის) შენობები გაძლიერებული კომპლექსური წყობით.

სართულიანობის მიხედვით არსებობს სამი კლასი: L – დაბალი 1-2 სართული; M – საშუალო 3-5 სართული; H – მაღალი 6 და მეტი სართული.

გადახურვის მიხედვით (M1-M5 შენობებისათვის) შემოტანილია სამი კოდი: W-ხის გადახურვა; V – ქვის (აგურის) თაღით გადახურვა; Sm – ლითონისა და ქვის კომპოზიტური გადახურვა.

ევროპულ კლასიფიკაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პროექტირების და მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების ფაქტორი, ამ მხრივ შენობა-ნაგებობები კლასიფიცირდება: PC – სეისმური კოდების წინა პერიოდი, ანუ დაპროექტებული და აშენებული სეისმური ნორმების გარეშე; MC – ძველი სეისმური ნორმებით; HC – თანამედროვე სეისმომდეგი მშენებლობის ნორმებით.



ნახ. 2 ქ. თბილისში გავრცელებული სხვადასხვა კონსტრუქციულ სქემებში გადაწყვეტილი საცხოვრებელი შენობების ხედი.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ქვის (აგურის) შენობების დეტალური კლასიფიკაცია მოყვანილია მე-5 ცხრილში.

ევროპული ტექსონომიით (ELER) ქვის (აგურის) შენობების
დეტალური კლასიფიკაცია

#	კოდი	დასახელება
1	M1 M1_L M1_M M1_w_L M1_w_M M1_v_L	ყორე ქვის წყობა 1-2 სართულიანი 3-5 სართულიანი ხის გადახურვით, 1-2 სართულიანი ხის გადახურვით, 3-5 სართულიანი ქვის თაღის გადახურვით, 1-2 სართულიანი
2	M2 M2_L M2_M M2_w_L M2_w_M	ალიზის წყობა 1-2 სართულიანი 3-5 სართულიანი ხის გადახურვით, 1-2 სართულიანი ხის გადახურვით, 3-5 სართულიანი
3	M3 M3_L M3_M M3_w_L M3_w_M M3_v_L	ფლეთილი ქვის წყობა 1-2 სართულიანი 3-5 სართულიანი ხის გადახურვით, 1-2 სართულიანი ხის გადახურვით, 3-5 სართულიანი ქვის თაღის გადახურვით, 1-2 სართულიანი
4	M4 M3_L M3_M M3_w_L M3_w_M M3_v_L	მასიური ქვის წყობა 1-2 სართულიანი 3-5 სართულიანი ხის გადახურვით, 1-2 სართულიანი ხის გადახურვით, 3-5 სართულიანი ქვის თაღის გადახურვით, 1-2 სართულიანი
5	M5 M5_L M5_M M5_w_L M5_w_M M5_v_L M5_sm_L M5_sm_M	ძველი ქვის (აგურის) წყობა 1-2 სართულიანი 3-5 სართულიანი ხის გადახურვით, 1-2 სართულიანი ხის გადახურვით, 3-5 სართულიანი ქვის თაღის გადახურვით, 1-2 სართულიანი ლითონისა და ქვის გადახურვით, 1-2 სართულიანი ლითონისა და ქვის გადახურვით, 3-5 სართულიანი
6	M6 M6_L_PC M6_M_PC M6_H_PC M6_L_MC M6_M_MC M6_H_MC	ქვის (აგურის) წყობა რკინაბეტონის გადახურვით 1-2 სართულიანი, სეისმური ნორმების გარეშე 3-5 სართულიანი, სეისმური ნორმების გარეშე 6 სართული ან მეტი, სეისმური ნორმების გარეშე 1-2 სართულიანი, ძველი სეისმური ნორმებით 3-5 სართულიანი, ძველი სეისმური ნორმებით 6 სართული ან მეტი, ძველი სეისმური ნორმებით
7	M7 M7_L_MC M7_M_MC M7_H_MC	ქვის (აგურის) გაძლიერებული კომპლექსური წყობით 1-2 სართულიანი, ძველი სეისმური ნორმებით 3-5 სართულიანი, ძველი სეისმური ნორმებით 6 სართული ან მეტი, ძველი სეისმური ნორმებით

ჩატარებული მიმოხილვითი კვლევები გვიჩვენებს, რომ სეისმური რისკის შეფასებისას ქვის (აგურის) შენობა-ნაგებობების ძველ და ახალ კლასიფიკაციას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება, კერძოდ: ძველ კლასიფიკაციაში ქვის (აგურის) შენობები მოიცავდა 4 სახეობას (ცხრ. 3) და ძირითადად განსხვავდებოდა სართულიანობით და ანტისეისმური ღონისძიებებით, მაშინ როდესაც თანამედროვე კლასიფიკაციით გამოიყოფა შვიდი ძირითადი კლასი (M1-M7) და 40-ზე მეტი ქვეკლასი. ახალ კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი გახდა გადახურვის ელემენტების ტიპები (ხის, ქვის, ფოლადის), პროექტირებისა და აშენების წლების შესაბამისად შენობები დიფერენცირდა სეისმური კოდების წინა პერიოდის, ძველი სეისმური ნორმების და თანამედროვე სეისმომდეგე მშენებლობის ნორმებით აშენებულ კლასებად.

ჩატარებული სამუშაოს ძირითადი ნაწილი მომზადდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სეისმური საშიშროების შეფასება საქართველოსთვის და სეისმური რისკის ქალაქ მცხეთისთვის თანამედროვე მიდგომებით“ N216758 ფარგლებში.

ლიტერატურა

1. MSK-64: 12-балльная шкала сейсмической интенсивности Медведева-Шпонхойера-Карника, 1964 г.
2. European Macroseismic Scale 1998, Editor G. GRÜNTAL Luxembourg 1998.
3. გაბრიჩიძე გ., რეკვავა პ., არაბიძე ვ., და სხვა. თბილისის 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის მასალები. გამომცემლობა „მერმისი“, თბილისი 2005.
4. Earthquake Loss Estimation Routine ELER© v3.0 Technical Manual and Users Guide, Prepared by Bogazici University, Department of Earthquake Engineering, 2010.
5. Muchadze T., Arabidze V., Chanadiri Dj., Eremadze N., Qorqia G. Establishment of the Damage Grade and Assessment of Seismic Risk of Dwelling Houses in Tbilisi. First International Conference on Seismic Safety Problems of Caucasus Region Population, Cities and Settlements. pp.153-155, Tbilisi, Georgia, September 8-11, 2008.

შენობების კლასიფიკაცია სეისმური რისკის შეფასების დროს

არაბიძე ვ., ჭკუასელი ლ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია შენობა-ნაგებობების კლასიფიკაცია სეისმური რისკის შეფასების დროს. მაკროსეისმური სკალების MSK-64-სა და EMS-98-ის შესაბამისად მოყვანილია საქართველოს ქალაქების განაშენიანებაში საცხოვრებელი სახლების ყველაზე გავრცელებული ტიპები, აღწერილია ქ. თბილისში გავრცელებული სხვადასხვა კონსტრუქციულ სქემებში გადაწყვეტილი საცხოვრებელი შენობების კლასიფიკაცია დაზიანებადობის კლასის მიხედვით. განხილულია სეისმური რისკის შეფასების ევროპული პროგრამა ELER-ის (Earthquake Loss Estimation Routine) შესაბამისი კლასიფიკაცია ქვის (აგურის) შენობებისათვის საქართველოში გავრცელებული შენობების გათვალისწინებით. გაანალიზებულია მნიშვნელოვანი განსხვავებები ძველ და ახალ კლასიფიკაციებს შორის.

Классификация зданий-сооружений при определении сейсмического риска

Арабидзе В.Г., Чкуасели Л.Б.

Реферат

В статье рассматриваются классификация зданий и сооружений при оценке сейсмического риска. На основе макросейсмических шкал MSK-64 и EMS-98 приведены наиболее распространенные типы жилых домов в развитии грузинских городов. Описаны и классифицированы жилые здания различных конструктивных схем распространенных в г. Тбилиси. Рассмотрено современное классификация каменных (кирпичных) зданий по новой европейской программе ELER (Earthquake Loss Estimation Routine) для расчета сейсмического риска. Проанализированы важные различия между старыми и новыми методами классификации зданий-сооружений.

Classification of buildings for the determination of seismic risk

Arabidze V., Chkuaseli L.

Abstract

The article deals with the classification of buildings and structures when assessing seismic risk. Based on macro seismic scales MSK-64 and EMS-98, the most common types of residential buildings in the development of Georgian cities are listed. Described and classified are residential buildings of various constructive schemes prevalent in Tbilisi. The modern classification of stone (brick) buildings under the new European program ELER (Earthquake Loss Estimation Routine) for calculation of seismic risk is considered. Important differences between old and new methods of classifying buildings-constructions are analyzed.

გურიის ტერიტორიის მაგნიტური ველი და მისი გეოლოგიური ინტერპრეტაცია

გოგუა რ., გვანცელაძე თ., ქირია ჯ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, 0171, თბილისი, მ.ალექსიძის ქ.#1

შესავალი

საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის დასავლეთ სეგმენტს. იგი მთა-ბორცვიანი ძლიერ დასერილი რელიეფით ხასიათდება. ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი უჭირავს გურიის ქედს. იგი ვრცელდება სოფ. გულიანის მერიდიანიდან ჩოხატაურამდის, სადაც ერწყმის აჭარა-იმერეთის ქედს. ჩრდილოეთიდან მას მდ. რიონის დაბლობი ესაზღვრება, სამხრეთიდან კი გურიის ვრცელი დეპრესია. გურიის ქედის საშუალო სიმაღლე, ზღვის დონიდან 300-350მ-ია. ქედის ორივე ფერდი დასერილია ღრმა ხეობების მქონე ხევებითა და ღელეებით, რომლებიც მდ. სუფსის მარცხენა შენაკადს წარმოადგენენ. რეგიონის მნიშვნელოვანი მდინარეა აგრეთვე ნატანები, თავისი მრავალი შენაკადით. საკვლევი ტერიტორია დაფარულია ხშირი მცენარეული საფარით. ქანების გაშიშვლებებს ვხვდებით ძირითადად მდინარეთა ხეობებში და გზების გასწვრივ. რეგიონი ცნობილია მრავალი სასარგებლო ნამარხით, განსაკუთრებით კი ნავთობგამოვლინებებით. აქედან გამომდინარე ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების დაზუსტება დიდ ინტერესს იწვევს.

გურიის ტერიტორიის შესწავლილობა გეოლოგიურ-გეომაგნიტური მეთოდებით გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს საქართველოს ბელტსა და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემას შორის. იგი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია სუბგანედური მიმართულების სიღრმული რღვევებით, რომლებიც აღმოსავლეთით, საკვლევი ტერიტორიის გარეთ, ერთმანეთთან ერთდებიან. ტერიტორიაზე გამოიყოფა მსხვილი ტექტონიკური ერთეულები, ესენია: ლანჩხუთი-ინაშაურის ანტიკლინი (გურიის მთები) და გურიის დეპრესია, რომელიც გართულებულია ლანჩხუთი-ოზურგეთის განივი ამაღლებით.

გურიის მთები ძირითადად აგებულია შუა ეოცენის (44 ± 3 -დან 47 ± 3 მილ. წლამდე) ვულკანოგენური ქანებით. ამავე პერიოდს მიეკუთვნება გურიის დეპრესია, რომლის პერიფერიული ნაწილი აგებულია ზედა ეოცენის, ხოლო ცენტრალური ნაწილი – მაიკოპის წყების ქანებით.

გურიის მთების დასავლეთ ნაწილში ფართოდაა წარმოდგენილი ბალიშისმაგვარი, ელიფსისმაგვარი და სფერული ფორმის ანდეზიტ-ბაზალტური შემაღვენლობის სხეულები, სიმძლავრით 20-170მ. ეს ქანები მუქი შეფერილობისაა, შემაღვენლობით: ბიოტიტი,

პიროქსენი, ოლივინი, მაგნეტიტი. აქცესორული მინერალებია: მაგნეტიტი, ჰემატიტი, აპატიტი, პირიტი [1].

რეგიონის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში გამოყოფენ სამ ძირითად ეტაპს: დანაოჭებამდე (ზედა ცარცი – შუა ეოცენი), დანაოჭების (ზედა ეოცენი – ოლიგოცენი) და დანაოჭების შემდგომი (მიოცენი – ანტროპოგენი) პერიოდი [2].

გეომაგნიტური შესწავლილობა

გურიის ტერიტორიის შესწავლა, ძიების მაგნიტური მეთოდით, დაიწყო ჯერ კიდევ XX ს-ის 30-იან წლებში მ. ნოდის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში დაფიქსირებული იქნა ინტენსიური მაგნიტური ანომალიები: სოფ. ნასაკირალში, აცანაში, აკეთში, მამათში, ჭანათში, ორაგვეში, საკუპრეში, ნაქობარში და ჩიტას, ზენდიდის, ტყებლას, ქანტარიას მთებზე. როგორც მ. ნოდია აღნიშნავს, „ეს ანომალიები ერთმანეთისაგან, კუნძულების მსგავსად, განცალკევებული არიან ტერიტორიის საკმაოდ ფართო ზოლებით, სადაც მაგნიტური ველი თითქმის ნორმალურია.“ ანომალიების ამ ჯგუფს მ. ნოდამ უწოდა ზოგადი სახელი – გურიის მაგნიტური ანომალია. შავი ზღვის სანაპირო ზოლზე (ქობულეთი-გრიგოლეთის უბანი), მ. ნოდამ შესწავლა დედამიწის მაგნიტური ველის ვერტიკალური მდგენელი და გააკეთა დასკვნა, რომ „აღნიშნულ უბანზე მაგნიტური ველი შეიძლება ჩაითვალოს თითქმის ნორმალურად“ [3,4,5,6], თუმცა ჩვენი კვლევებით აღმოჩნდა, რომ ტერიტორია მნიშვნელოვნად ანომალურია.


XX საუკუნის 70-იან წლებში გურიის ტერიტორია, 2,5-3 კმ სიმაღლეზე, აიგემა აერო-მაგნიტური მეთოდით [7].

შემდგომ წლებში (1978 წ.) გეოფიზიკის ინსტიტუტმა (რ. გოგუა) ურეკში, ზღვის სანაპირო ზოლში, სანატორიუმ „მეგობრობიდან“ მაშველების საგუშაგომდე, გამოიკვლია დედამიწის მაგნიტური ველის Z მდგენელი, ფანზელაუს ფირმის მაგნიტომეტრით, რომლის მგრძნობიარობა შეადგენდა 10 გამას / დანაყოფზე. პარალელურად გამოკვლეული იქნა ქვიშის მაგნიტური შემთვისებლობა ა.


2015 წ.-ს გეოფიზიკის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. გოგუა) ურეკში, ბ. პატარკაციშვილის კუთვნილ ტერიტორიაზე, ზღვის სანაპირო ზოლში, გამოიკვლია დედამიწის მაგნიტური ველის სრული მდგენელი T, პროტონული მაგნიტომეტრით G-856AX. დეტალურად იქნა გამოკვლეული აგრეთვე ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული ქვიშის ოთხი ბორცვის მაგნიტური ველი და სოფ. აცანის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი პროფილი.

გურიის ტერიტორიის მაგნიტური ველის გეოლოგიური ინტერპრეტაცია

აერომაგნიტური რუკიდან ჩანს (სურ. 1), გურიის ტერიტორია მთლიანად ანომალურია. მასზე გამოიყოფა ინტენსიური, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ანომალიები. ტერიტორიის ჩრდილოეთით (გურიის მთები) აღინიშნება ანომალია, რომლის უარყოფითი ნაწილი 750 ნ.ტ., ხოლო დადებითი 1870 ნ.ტ.-ს რიგისაა. ამ ანომალიის ეპიცენტრის სიახლოვეს ჩვენს მიერ მიწისპირას გამოკვლეული მაგნიტური ანომალიის ინტენსივობაა – 3000±5000 ნ.ტ. რიგისა (სურ. 2). პროფილის გასწვრივ მაგნიტური ველის ვერტიკალური გრადიენტი მაღალია, რაც მიუთითებს ანომალიის გამომწვევს წყაროს დღიურ ზედაპირთან სიახლოვეს.



სურ. 1. გურიის ტერიტორიის ანომალური მაგნიტური ველის (ΔT) ან. აერომაგნიტური რუკა (მასშტაბი 1:500000)



სურ. 2. მაგნიტური ველის ხასიათი სოფ. აგანის მიმდებარე ტერიტორიაზე


როგორც გეოლოგიური გამოკვლევებით არის ცნობილი [1], გურიის მთები ძირითადად აგებულია შუა ეოცენის ვულკანოგენური ანდეზიტ-ბაზალტური შემადგენლობის ქანებით, რომელთა ჩამოყალიბება მოხდა წყალქვეშ, რამაც განაპირობა ქანების ნარჩენი დამაგნიტების (I_n) ინტენსივობა. გარდა ამისა ეს ქანები შეიცავენ დიდი რაოდენობით ფერომაგნიტურ მინერალებს. აქედან სრულიად სამართლიანად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი მაგნიტური პარამეტრები: მაგნიტური შემთვისებლობა χ და ნარჩენი დამაგნიტება I_n

მაღალია. სამწუხაროდ დღემდე გურიაში აღნიშნული ქანების მაგნიტური პარამეტრები შესწავლილი არ არის. სამაგიეროდ იგივე დასახელების და ასაკის ქანების მაგნიტური პარამეტრები კარგადაა შესწავლილი აჭარის ტერიტორიაზე [7], სადაც $\mu=(700\div 5500) \cdot 10^{-6}$, ხოლო $I_n = (1500 \div 6000) \cdot 10^{-6}$ სმ.გრ.წმ. აღსანიშნავია, რომ ვულკანოგენების ნარჩენი დამაგნიტება მნიშვნელოვნად მეტია ინდუქციურ დამაგნიტებაზე, კენიგსბერგერის კოეფიციენტი $Q=1 \div 2$.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სრულიად სამართლიანად შეიძლება ვთქვათ, რომ გურიის მთების ტერიტორიაზე დაფიქსირებული ანომალიების წყაროა შუა ეოცენის ასაკის ანდეზიტ-ბაზალტები. ამავე ქანებითაა გამოწვეული ტერიტორიის დეპრესიულ ნაწილში მაგნიტური ანომალიები, რომელთა ინტენსივობა მნიშვნელოვნად დაბალია გურიის მთების ანომალიებთან შედარებით, რაც განპირობებულია შუა ეოცენის ანდეზიტ-ბაზალტების მნიშვნელოვანი დაშორებით (ჭაბურღილების მონაცემებით) მიწის ზედაპირიდან.

შავი ზღვის სანაპიროზე, სოფ. გრიგოლეთიდან დასახლება შეკვეთილამდე გავრცელებულია ქვიშები, რომელთა მაგნიტური შემთვისებლობა μ საშუალოდ იცვლება $(1500-6000) \cdot 10^{-6}$ სმ.გრ.წმ ფარგლებში. ამასთან ერთად ქვიშების მინერალოგიურ-რაოდენობრივი ანალიზით დადგენილია (შემცირების მიხედვით) შემდეგი მინერალები: მინდვრის შპატი, კვარცი, ბიოტიტი, მუსკოვიტი, კარბონატები, პიროქსენი, მაგნეტიტი, ტიტანომაგნეტიტი, ქანების გარკინებული ნაწილები, ჰიდროქსანგები. ქვიშების ძირითადი მაგნიტური მინერალებია მაგნეტიტი და ტიტანომაგნეტიტი. ამ მინერალების წილი ქვიშის მასაში 5,9% შეადგენს [8].




ჩვენი გამოკვლევებით (ბ. პატარკაციშვილის ტერიტორია) ზღვის სანაპიროს გასწვრივ მაგნიტური ველი მკვეთრად იცვლება (სურ. 3). საშუალოდ იგი 400 ნ.ტ.-ს რიგისაა.




სურ. 3 . (ΔT) ან. ბ. პატარკაციშვილის ტერიტორიაზე

ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც განლაგებულია ქვიშის მცირე სიმაღლის ბორცვები შევისწავლეთ, როგორც მაგნიტური ველის განაწილება, ისე მისი ვერტიკალური გრადიენტი. აღმოჩნდა, რომ მაგნიტური ველის ინტენსივობა ბორცვების სიმაღლის შემცირებასთან ერთად მცირდება (იხ. სურ. 4), რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბორცვზე


ველის მომატება ზღვის სანაპიროს ველთან შედარებით გამოწვეულია ქვიშების შემადგენლობით და ბორცვის ფორმით.





სურ. 4. ბორცვების მაგნიტური ველის ხასიათი ბ. პატარკაციშვილის ტერიტორიაზე

ჩვენი მოსაზრება, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში (ურეკი-შეკვეთილს შორის) ქვიშების გავრცელების ტერიტორიაზე, მაგნიტური ველის წყაროა ძირითადად მაგნიტური ქვიშები, რაც ცალსახად მტკიცდება 1978 წელს ჩატარებული გამოკვლევებით. პროფილის გასწვრივ ყოველ წერტილში გაზომილი იქნა, როგორც მაგნიტური ველის ვერტიკალური Z მდგენელი, ისე ქვიშის მაგნიტური შემთვისებლობა α . როგორც სურ. 5-დან ჩანს, ტერიტორიაზე მაგნიტური ველის და შემთვისებლობის მრუდები ერთმანეთის მსგავსია. ეს კი ამტკიცებს, რომ ტერიტორიის მაგნიტური ველი ძირითადად გამოწვეულია ქვიშის ინდუქციური დამაგნიტებით.



სურ. 5. ურეკის ტერიტორიის ანომალური მაგნიტური ველი და ქვიშის მაგნიტური შემთვისებლობა

დასკვნა

1. გურიის ტერიტორიაზე დაფიქსირებული აერო და მიწისპირა მაგნიტური ანომალიების წყაროა მაგმური სხეულები, ძირითადად შუა ეოცენის ანდეზიტ-ბაზალტები, რომელთა მაგნიტური პარამეტრები უშუალოდ გურიის ტერიტორიაზე შესწავლილი არ არის, თუმცა თუ მაგნიტური ანომალიების ინტენსივობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ ყველაზე მაღალი დამაგნიტება უნდა ჰქონდეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე გავრცელებულ ანალოგიური ასაკის და შემადგენლობის ქანებთან შედარებით.
2. გურიის ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, გავრცელებული ქვიშები წარმოადგენენ გურიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფიქსირებული ანდეზიტ-ბაზალტების დაშლა-გამორეცხვის პროდუქტს, რომელიც მდინარეებმა (ძირითადად მდ. სუფსა) ჩამოიტანეს ზღვაში. ქვიშის სანაპირო ზოლში განაწილება კი განაპირობა რეგიონის ჰიდროგეოლოგიურმა პირობებმა.
3. შავი ზღვის სანაპირო ზოლზე (გრიგოლეთი-შეკვეთილი) დედამიწის მაგნიტური ველის (სრული მდგენელი T) ინტენსივობა საშუალოდ 300-500 ნ.ტ.-ს ფარგლებში იცვლება. მაგნიტური ველის წყაროა ტერიტორიაზე გავრცელებული, ინდუქციურად დამაგნიტებული ქვიშები.

ლიტერატურა

1. Надареишвили Г.Ш. Среднеэоценовый вулканизм Гурийского хребта и Южно-Имеретинского прегорья. Автореферат дис. Изд. «Мецниереба», Тбилиси 1968.
2. Дзоценидзе Г.С. Домиоценовый эффузивный вулканизм Грузии. Мориграфия. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1948, №1, 407с.
3. Нодиа. М.З. Магнитная микросъемка в Ланчхутском и Озургетском районах. Тр. Тб. Геофиз. инст., т. 1, 1936.
4. Нодиа. М.З. К вопросу о применимости магнитометрического метода разведки к магнитным пескам Черноморского побережья. Сообщ. Груз. Фил. АН СССР, т. 1, №6, 1940.
5. ნოდია მ.. გურიის მაგნიტური ანომალია და ზოგიერთი მისი თავისებურებანი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე ტ. II, №5, 1941, გვ. 405-408.
6. ნოდია.მ. სამარშრუტო მაგნიტური გაზომვები ომფარეთის ნავთის საბადოს ზოგიერთ უბანზე. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე ტ. V, №4, 1944, გვ. 383-390.
7. გოგუა.რ. მაგმური ქანების მაგნიტური ველი და მაგნეტიზმი. მონოგრაფია. მ.ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი 2017წ., გვ. 125.
8. Сигуа. Т. Переработка железных и марганцевых руд Закавказья. «Мецниереба». Тбилиси, 1975.
9. Сехниаидзе. А. Г. Магнитное поле Грузии и его геологическая интерпретация. Дис. Тб. 1976 г.

**გურიის ტერიტორიის მაგნიტური ველი და მისი
გეოლოგიური ინტერპრეტაცია**

გოგუა რ., გვანცელაძე თ., ქირია ჯ.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გურიის ტერიტორიაზე მაგნიტური ანომალიების გეოლოგიური ინტერპრეტაციის სიკითხები. დადგენილია რომ ინტენსიური მაგნიტური ანომალიები გამოწვეულია შუა ეოცენის ანდეზიტ-ბაზალტებით, ხოლო ანომალიები შავი ზღვის სანაპიროზე-ქვიშით,რომელიც გამდიდრებულია ფერომაგნიტური მინერალებით.

**Магнитное поле территории Гурии и его геологическая
интерпретация**

Гогуа Р.А., Гванцеладзе Т.А., Кириа Дж. К.

Реферат

В работе рассмотрены вопросы геологической интерпретации магнитных аномалий территории Гурии. Установлено, что интенсивные магнитные аномалии вызваны среднеэоценовыми породами андезит-базальтового состава, а аномалии на берегу Черного моря-песками,обогаченными ферро-магнитными минералами.

The magnetic field of the territory of Guria and its geological interpretation

Gogua R.A., Gvantseladze T.A., Kiria J. K.

Abstract

The work the questions of geological interpretation of magnetic anomalies of the territory of Guria considers. It is established that the intense magnetic anomalies are caused by the Middle Eocene rocks of the andesite-basalt composition, whereas the anomalies on the shores of the Black Sea are caused by the sands enriched with ferro-magnetic minerals.

ნიადაგის ზედაპირის რადიაციულ-ქიმიური დაბინძურების ინტენსივობის ცვლილების არასტაციონარული მოდელი

ჩანქსელიანი ზ., მათიაშვილი ს., კერესელიძე ზ., ჩხიტუნძიე მ.

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი
sophiko_79@mail.ru, marina_chxitunidze@yahoo.com*

შესავალი. გარემოს დაბინძურება მავნე ნარჩენებით წარმოადგენს გლობალურ პრობლემას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ადამიანის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებში 20%-მდე წვლილი მოდისბუნებრივ პირობებზე. ეკოლოგიური მდგომარეობა პირდაპირ ან ირიბად არის მიჩნეული სხვადასხვა დაავადებების მაპროვოცირებელ მიზეზად. ამას მოწმობს მაგალითად, ონკოლოგიური დაავადებების სულ უფრო მზარდი მასშტაბი და გაზირებული გენეტიკური მუტაციები. ამის მთავარი მიზეზია გარემოში მოხვედრილი ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენები. განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში მეტად საგრძნობი აღმოჩნდა რადიოაქტიური ელემენტებითა და მძიმე მეტალებით დაბინძურება [1-6]. მჭიდროდ ურბანიზირებულ ადგილებში განსაკუთრებით ნეგატიური მოქმედება გააჩნიათ მძლავრ სამრეწველო კომპლექსებს, კერძოდ, მეტალურგიულ კომბინატებს. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ იყო საქართველო, სადაც ათწლეულების განმავლობაში რუსთავსა და ზესტაფონში ფუნქციონირებდნენ მეტალურგიული კომბინატები. ისინი განთავსებულნი იყვნენ უშუალოდ შუაგულ ქალაქებში, რომლებიც ემიჯნებიან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწებს. ცნობილია, რომ ამ ობიექტებიდან ადგილი ჰქონდა გარემოს მასშტაბურ დაბინძურებას ატმოსფერული გამონაბოლქვებისა და მყარი ნარჩენების არასათანადო უტილიზაციის გამო. ამის შედეგად რუსთავსა და ზესტაფონში ჰაერის დაბინძურებამ კრიტიკულ დონეს მიაღწია. ამიტომ, გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ მიუღებელი შეიქმნა მეტალურგიულ კომბინატებში განეხორციელებინა გარკვეული დამცავი ღონისძიებები. მაგრამ, როგორც თავის დროზე მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის განყოფილების მიერ ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ აჩვენა, ეს ღონისძიებები არაეფექტური აღმოჩნდა. თანაც ეს ინფორმაცია, მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, ფაქტიურად გასაიდუმლოვდა და სათანადო სისრულით არ აისახა ღია პუბლიკაციებში.

მეტალურგიული წარმოების თანმდევი დაბინძურების დინამიკის დროში და სივრცეში ცვლილების შესწავლა განვითარებულ ქვეყნებში საკმაო ხანია მიმდინარეობს. ამ მიმართულებით კვლევა გააქტიურდა რუსეთში, რომელიც ყოფილი საბჭოთა სამრეწველო კომპლექსის მთავარი მემკვიდრეა და მნიშვნელოვან წილად ეკოლოგიური პრობლემების

იგივე წყაროები გააჩნია, როგორც საქართველოს. მაგალითად, ურალის სამრეწველო რეგიონისათვის უკვე არსებობს საკმაოდ სრული ინფორმაციული ბაზა. კერძოდ, დადგენილია ქალაქ ჩუსოვას მძლავრი მეტალურგიული კომპლექსის მავნე მოქმედების ტექნოგენური მექანიზმები და განსაზღვრულია მძიმე მეტალებით ნიადაგის დაბინძურების მახასიათებლები [7]. ამ მონოგრაფიაში მოცემული დაბინძურების დონის დინამიკური ცვლილების პროგნოზის მეთოდის შეიძლება გარკვეულ ფარგლებში უნივერსალურია და იდენტური უნდა იყოს ნებისმიერი მავნე ან ფერადი მეტალურგიული წარმოებისათვის. ცნობილია, რომ ქიმიურ-რადიაციული დაბინძურების ატმოსფეროსა და ნიადაგში გავრცელების ბუნებრივი მექანიზმები ფაქტიურად უნივერსალურია. ამკარაა, რომ ასეთი მექანიზმები მოქმედებდნენ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მომიჯნავე ტერიტორიაზეც. გარდა ამისა, ყოფილ საბჭოთა კავშირში მეტალურგიული წარმოება პრაქტიკულად ყველგან ერთნაირი ტექნოლოგიით ხდებოდა, შესაბამისად, სრულიად დასაშვებია, რომ არსებობდეს თვისებრივი მსგავსება ჩუსოვასა და რუსთავის ნიადაგების დაბინძურების რეტროსპექტიულ (საწყის) სურათებს შორის. ამ შემთხვევაში რაოდენობრივი განსხვავება გამოწვეული უნდა იყოს მხოლოდ ამ კომბინატებში გამოყენებული რკინის მადნის, მეტალურგიული პროდუქციის სახეობისა და საწვავის შემადგენლობის განსხვავებით.

გარემოს ფიზიკური პარამეტრები – ტექნოგენური დაბინძურება. მეტალურგიული ობიექტები დანატმოსფერულ გარემოში ქიმიური ელემენტების მოხვედრა ძირითადად ხდება ღუმელების მილებიდან გამოფრქვეულ აირთან ერთად. ამიტომ მილი შეიძლება წარმოვიდგინოთ წერტილოვან წყაროდ, რომლის პროდუქტი ჰაერში აეროზოლების სახით გავრცელებასთან ერთად, თანდათან ილექება დედამიწის ზედაპირზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მოვლენა ისეთი გადატანითი ტიპის პროცესებს მიეკუთვნება, რომელთა მექანიზმები ფიზიკური თვალსაზრისით მსგავსია, მათი განვითარება ხდება სხვადასხვა გარემოში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ატმოსფეროში დაბინძურების გავრცელების დრო არ შეიძლება დაბინძურების ნიადაგში გავრცელების დროის თანაზომადი იყოს. ამ თვალსაზრისით დროის საწყის მომენტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ნიადაგის დაბინძურებისათვის. მაგალითად, რუსთავში გარემოს დაბინძურების საწყისი მომენტად უნდა ჩავთვალოთ მეტალურგიული კომბინატის ამუშავების თარიღი (დაახლოებით 1945 წ.). ბუნებრივია, რომ დაბინძურებას არ ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი და პერმანენტულად ხდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

გარემოს დაბინძურების ეფექტის შეფასებისათვის საჭიროა ვიცოდეთ წყაროს სიმძლავრე, ანუ დაბინძურების საწყისი კონცენტრაცია, და წყაროს მოქმედების ხანგრძლივობა. დედამიწაზე დამაბინძურებელი აგენტის განფენა შეიძლება მოხდეს როგორც ჰაერიდან, ასევე დედამიწაზე წარმოების მყარი ნარჩენების პირდაპირი დაყრის შედეგად. ამის კარგი მაგალითია რუსთავის ცენტრალური პარკი, რომლის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მოხდა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში გამომუშავებული წიდის დაყრა დიდი ოდენობით. თუმცა მეტალურგიული წარმოება პრაქტიკულად უწყვეტი ხასიათისაა, დასაშვებია ამ პროცესის დისკრეტულ აქტებად დაშლა. თითოეული ასეთი აბსტრაქტული აქტი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: გარემოს დაბინძურება მაქსიმალურია წყაროს სიახლოვეს, ხოლო მანძილის ზრდასთან ერთად დაბინძურების ინტენსივობა იკლებს. ეს პროცესი ვითარდება როგორც სივრცეში, ასევე დროში, ანუ დიფუზიურ-კონვექციური გადატანის გამო ლოკალური დაბინძურების დონე თანდათან უნდა იკლებ-

დეს. ფორმალურად, სადღაც პერიფერიაზე, ქიმიურ-რადიაციული დაბინძურების ინტენსივობა უნდა აღწევდეს ტექნოგენური დაბინძურებისაგან თავისუფალი ტერიტორიისათვის დამახასიათებელ ფონურ მნიშვნელობას. თუმცა, რეალურ პირობებში ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება ძნელად წარმოსადგენია. მართლაც, აშკარაა, რომ გარემოში მავნე ქიმიური ელემენტების გავრცელება, საწყისი კონცენტრაციის გარდა, დამოკიდებულია კიდევ ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე: მეტეოროლოგიურ პირობებზე და ნიადაგის ფიზიკა-ქიმიურ თვისებებზე. თითოეულ ამ ფაქტორს ახასიათებს მრავალი პარამეტრი, რაც ნიშნავს, რომ დაბინძურების გავრცელების პროცესი მათემატიკური თვალსაზრისით წარმოადგენს განსაკუთრებულად რთულ ამოცანას, რომლის ზოგადი ანალიზური ამოხსნა შეუძლებელია. თუმცა, კონვექციური გადატანის მექანიზმის უგულვებელყოფის შემთხვევაში, დიფუზიის განტოლების კლასიკური ამონახსნების გამოყენებით, შესაძლებელია საკმაოდ ინფორმატიული ანალიზური კავშირების მიღება. ასეთი ამონახსნით მოცემული დაბინძურების დონის დინამიური ცვლილების სურათი გარკვეულ სასაზღვრო პირობებში შეიძლება გახდეს საკმაოდ კორექტული რაოდენობრივი შეფასებების საფუძველი.

დიფუზიის პროცესში ფართის ზრდასთან ერთად კლებულობს დაბინძურების კონცენტრაცია, ანუ დიფუზიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დაბინძურების დონის ცვლილება. ამრიგად, დიფუზიური პროცესი მეტ-ნაკლები სიჩქარით ახდენს დაბინძურების ეფექტის ნიველირებას, რომლის დონე დამოკიდებულია წყაროს სიმძლავრეზე დამოქმედების ხანგრძლივობაზე. ამიტომ, ნიადაგის დაბინძურების ფონურ მნიშვნელობასთან მიახლოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, თუ როგორია: ერთჯერადი, პერიოდული თუ უწყვეტი ხასიათის, დაბინძურების წყაროს მოქმედება. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, იყო თუ არა წყვეტა დაბინძურების წყაროს მოქმედებაში, ან ხომ არ შეიცვალა დაბინძურების ქიმიური სტრუქტურა და ინტენსივობა. ნებისმიერ შემთხვევაში, დროის მოცემულ მომენტში დაბინძურების დონე პირდაპირ კავშირშია რეტროსპექტული სურათის სივრცეში და დროში განვითარების პროცესთან. ბუნებრივია, რომ მოდელირების პროცესში გამოყენებული უნდა იყოს ქიმიური დაბინძურების მიგრაციის განმსაზღვრელი ფიზიკური პარამეტრები (მაგნიტური ამთვისებლობა, ჰიდრავლიკური დიფუზიის კოეფიციენტი, ზედაპირის ოროგრაფია, მეტეოროლოგიური მონაცემები). ამიტომ, დაბინძურების დინამიკის მოდელირების სარწმუნოება დამოკიდებულია არა მხოლოდ მათემატიკურ კორექტულობაზე, არამედ ნიადაგის სინჯების აღების ადგილის სწორად განსაზღვრაზე და ნიმუშების სრულფასოვან ლაბორატორიულ ანალიზზეც.

ფიზიკური მოდელი. არასტაციონარული დიფუზიის განტოლება ფორმით თანხვედება სითბო გამტარობის განტოლებას [9,10]. როგორც ტემპერატურის, ასევე მასის გადაცემა მიეკუთვნება გადატანის პროცესს, რომელს სისწრაფეს აკონტროლებს გარემოს შესაბამისი პარამეტრი: სითბოგამტარობის (ან ტემპერატურა გამტარებლობის) კოეფიციენტი და დიფუზიის კოეფიციენტი. დიფუზიის პროცესის სიჩქარე, სითბოს გადაცემის სიჩქარის მსგავსად, დამოკიდებულია საწყისი კონცენტრაციაზე. შესაბამისად, რაც უფრო დიდია მასის გრადიენტი, მით უფრო მეტი დრო სჭირდება დიფუნდირებადი ელემენტის პრაქტიკულად ერთგვაროვანი განაწილების დამყარებას. თუმცა, ანალოგია სითბოგადაცემასა და მასის გადაცემას შორის მხოლოდ ზედაპირულია. ტემპერატურის გადაცემის ბუნება თერმოდინამიკურია და იმართება ნივთიერების შინაგანი მიკროპროცესებით. მასის დიფუზია კი წარმოადგენს მექანიკურ მაკროპროცესს, რომელსაც იწვევენ, მაგალითად გრავიტაცი-

ული ან ელექტრომაგნიტური ველები, ხოლო ხელშემწყობი პირობებია გარემო ფაქტორები (ქარი, წყალი, ტემპერატურა). ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონვექციურ წევრს არ ვითვლისწინებთ, დიფუზიის განტოლების ამონახსნი არაცხადად მაინც არის დამოკიდებული გარემოს ტენიანობაზე, რომელიც დიფუზიის კოეფიციენტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პარამეტრია.

სითბოგადაცემის განტოლების მსგავსად, რომელიც განსაზღვრავს ტემპერატურულ ველს, დიფუზიის განტოლება კონკრეტული საწყისი და სასაზღვრო პირობებისათვის იძლევა ქიმიური დაბინძურების დროში და სივრცეში ცვლილების სურათის აგების საშუალებას. კერძოდ, არასტაციონარული დიფუზიის განტოლების ამონახსნის ასიმპტოტიკური ანალიზი და მისი გრაფიკული წარმოდგენა ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებით ღირებულია პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა ზუსტი ანალიზური ამოხსნის შესაძლებლობა შეზღუდულია. ამიტომ, მრავალპარამეტრიანი ამოცანის ამოხსნის პროცესში, როგორც წესი, გარკვეული გამამარტივებელი დაშვებების გამოყენება გარდაუვალია. კერძოდ, ეს ეხება დაბინძურების პრობლემასთან დაკავშირებულ ამოცანებს. გამამარტივებელი დაშვებები იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ ქიმიური დაბინძურების მიგრაციის ზოგადი ამოცანა გაიხლიჩოს უფრო მარტივ შემადგენელ ამოცანებად. მათი ამონახსნები, მიღებული ზოგადი მათემატიკური მოდელის ჩარჩოში, შეიძლება საკმაოდ ეფექტურად იყოს გამოყენებული კონკრეტული მიზნისათვის. მაგრამ, იმისათვის, რომ რთული ანალიზური მათემატიკური ამონახსნის საფუძველზე გაკეთდეს პრაქტიკულად ღირებული თვისებრივ-რაოდენობრივი შეფასებები, ხშირ შემთხვევაში საჭიროა არა მარტო მათემატიკური, არამედ გარკვეული ფიზიკური დაშვებებიც. მაგალითად, ჩვენს მიერ დასახული ამოცანა მოითხოვს, რომ გარკვეულ ფარგლებში განვასხვავოთ ორი მსგავსი პროცესი: ატმოსფეროში გამოფრქვეული ქიმიური ელემენტების გავრცელება დედამიწაზე განფენილი ან დალექილი დაბინძურების მიგრაციისაგან. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ საჭიროების შემთხვევაში განვიხილოთ ორი, ერთნაირი მათემატიკური ბაზისის მქონე, ამოცანა:

პირველი ამოცანა. მადანის გამოდნობის შედეგად ჰაერში მოხვედრილი აეროზოლები შეუძლებელია თანაბრად დაილექოს მეტალურგიული ღუმელის ან საკვამლე მილის ირგვლივ. ეს ნიშნავს, რომ ქიმიური დაბინძურების მიგრაცია აზიმუტალურად სიმეტრიულია მხოლოდ თეორიულად. რეალურად, ატმოსფეროში ქიმიური დაბინძურების დიფუზიის პარალელურად ყოველთვის ექნება ადგილი აგრეთვე აეროზოლების კონვექციურ გადატანასაც. ამიტომ, ქიმიური დაბინძურების გავრცელება ატმოსფეროში პრაქტიკულად მომენტალურად ხდება, მაშინაც კი, როცა ქარი სუსტია ან საერთოდ არ იგრძნობა (ე.წ. შტილი). ძლიერი ქარის შემთხვევაში ატმოსფერული მინარევის გატანა შეიძლება მოხდეს თეორიულად რაგინდ შორ მანძილზე, თუმცა ეს მოხდება ასიმეტრიულად. კერძოდ, რუსთავის პირობებში ატმოსფერულ ქარებს გააჩნიათ გაბატონებული მიმართულება მტკვრის ხეობის გასწვრივ, დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. რუსთავის პარკი კი მდებარეობს მტკვრის მიმდებარედ, მეტალურგიული კომბინატიდან დასავლეთით. ამიტომ, შეიძლება ვიქონიოთ ვარაუდი, რომ, პარკის ტერიტორიაზე ნიადაგის დაბინძურების არსებობის შემთხვევაში, მისი ძირითადი წყარო უნდაყოფილიყო წიდა, და არა მეტალურგიული კომბინატის ღუმელებიდან ატმოსფერული გამონაფრქვევი. ნებისმიერ შემთხვევაში, დაბინძურების მოდელირების ამოცანა მოითხოვს, რომ ადგილის სათანადოდ

შემოწმების პარალელურად აგრეთვე შემოწმდეს ქიმიური დაბინძურების ფონი როგორც პარკის მიმდებარედ, ასევე მეტალურგიული კომბინატიდან აღმოსავლეთის მიმართულე-ბით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მეტალურგიული კომბინატიდან აღმოსავლეთით დაბინძურების ფონი აღემატება ფონს პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეგვიძლია პარკის ტერიტორიის დაბინძურების მთავარ წყაროდ ნაყარი წიდა მივიჩნიოთ. სხვა შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ მოხდა მყარიწიდათ დაბინძურებისა და აეროზო-ლური ატმოსფერული გამონაფრქვევის ზედდება.

მეორე ამოცანა. ნიადაგში ქიმიური დაბინძურების მიგრაციას ძირითადად განსაზღ-ვრავს გრუნტის წყლების ნელი მოძრაობა, ე.წ. ფილტრაციის პროცესი. ატმოსფერული და-ბინძურებისაგან განსხვავებით, ნიადაგში დიფუზიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დედამიწის ზედაპირის ოროგრაფია, ატმოსფერული ნალექები, ნიადაგის გვარობა და მისი მაგნიტური თვისებები. კონკრეტულ გარემო პირობებში შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ამ ფაქტორთაგანი ერთნაირად ეფექტური არ იყოს. მაგალითად, მარტივი ოროგრაფიისა და დაბალი ნალექიანობის პირობებში, ნიადაგის ზედაპირული დაბინძურების დროში და სივრცეში გავრცელების მოდელირებისას დასაშვებია ზედაპირული წყლების, ანუ კონვექ-ციის ეფექტის, უგულვებლყოფა. ასეთ შემთხვევაში კორექტულად ითვლება დიფუზიის განტოლებაში გამოყენებული იყოს ჰიდრავლიკური დიფუზიის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე დამოკიდებულია წყლის (გაწყლოვანების) ფაქტორზე. სამაგიეროდ, რთული ოროგრაფიის შემთხვევაში სამართლიანია დიფუზიის განტოლებაში კონვექციური წევრის დამატება, როგორც ნიადაგის ზედაპირის, ასევე სიღრმის მიმართულეებით. ასეთი განზო-გადოება, უმარტივესი შემთხვევების გარდა, მნიშვნელოვნად ართულებს შესაბამისი გან-ტოლების ანალიზურ ამოხსნას, თუმცა პრინციპულად არ მოქმედებს რიცხვითი ამოხსნის სქემაზე. მეორე ამოცანაში გასათვალისწინებელია რომ, ატმოსფეროსაგან განსხვავებით, დედამიწაზე ხშირად შეუძლებელია სათანადო სიზუსტით განისაზღვროს ზედაპირული წყლების მოძრაობის გაბატონებული მიმართულება. მაგალითად, რუსთავის პარკის ტერი-ტორია ოროგრაფიულად მარტივია, რადგანაც პრაქტიკულად ბრტყელია. ამიტომ, ზედა-პირული წყალი თეორიულად შეიძლება წავიდეს ნებისმიერი მიმართულებით. თუმცა, ზედაპირისაგან განსხვავებით, ნიადაგის სიღრმეში შეიძლება არსებობდნენ გრუნტის წყლების დინების გაბატონებული მიმართულებები. ეს ნიშნავს, რომ რაღაც ადგილებში შეიძლება მოხდეს დაბინძურების ზედაპირული კონცენტრაციის ზრდა, ანუ ჩამოყალიბ-დეს არაერთგვაროვანი სურათი. არსებობს პირველი და მეორე ამოცანების განმასხვავე-ბელი კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია დიფუზიის კოეფიციენტის გვა-რობასთან. ატმოსფეროში, ნიადაგისაგან განსხვავებით, შესაძლებელია ტურბულენტური დიფუზია. ანუ, ჩვეულებრივის გარდა, ატმოსფეროს, წყლის მსგავსად, გააჩნია აგრეთვე ტურბულენტური დიფუზიის კინემატიკური და დინამიკური კოეფიციენტი. ნიადაგის ზედაპირზე ასეთი კოეფიციენტის ეფექტური სიდიდის დასადგენად საჭიროა ზედაპი-რული წყლების მოძრაობის საკმაოდ ზუსტი ტოპოლოგიური სურათი. მაგრამ, მისი წარ-მოდგენა ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგალითად, ისეთი სპონტა-ნური მოვლენისდროს, როგორც არისძლიერი წვიმა. თუმცა, დაბალი ინტენსივობის ნა-ლექების შემთხვევაში უხემ მიახლოებაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გრავიტაციული ზე-მოქმედების გამო წყალი რაღაც დონემდე ვერტიკალურად ჩადის სიღრმეში. შემდგომ მიახლოებაში, მარტივი ოროგრაფიისა და ზედაპირული წყლების მცირე სიჩქარეების შემ-

თხვევაში, რიცხვითი გამოთვლებისათვის შეიძლება გაკეთდეს რაოდენობრივი შესწორება ზედაპირზე ტურბულენტური დიფუზიის ეფექტის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ, ატმოსფეროსაგან განსხვავებით, ნიადაგში დიფუზიის კოეფიციენტი დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე. ცხადია, რომ ერთნაირი გაწყლოვანების პირობებში დიფუზიური გადატანის პროცესი ფოროვან ნიადაგში უფრო სწრაფი იქნება, ვიდრე მაგალითად, ქვიშოვანში ან თიხოვანში. დადგენილია, რომ მექანიკური სტრუქტურული თვისებების გარდა, მძიმე მეტალების დიფუზიაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია აგრეთვე ნიადაგის მაგნიტურ თვისებებსაც [7,8]. თუმცა, მაღალი ფოროვნებისაგან განსხვავებით, რომელიც ხელს უწყობს სწრაფ დიფუზიას, ნიადაგის მაგნიტურობა პირიქით, ხელს უშლის ქიმიურ-რადიაციული დაბინძურების მეტალური შემადგენელის მიგრაციას. ამ ეფექტის ფიზიკური არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ ნიადაგი შეიცავს მაღალი მაგნიტური ამ თვისებლობის მქონე კომპონენტს, მაგალითად ფერომაგნეტიკს, მისი კონცენტრაციის ლოკალური ცვლილების პროპორციულად ძლიერდება ბუნებრივი მაგნიტური ველი. რადგანაც ეს ეფექტი არაერთგვაროვანია, წარმოიქმნება მაგნიტური ველის გრადიენტები და მათთან დაკავშირებული ცვლადი მიმართულების ლოკალური ტელურული მიკროდენები, რომლებიც, თავის მხრივ აძლიერებენ მაგნიტური ველის არაერთგვაროვნებას. ამიტომ, ასეთ გარემოში მაგნიტური ველის ზემოქმედებას მძიმე მეტალების ნაწილაკების მიგრაციას არ გააჩნია უპირატესი მიმართულება, ანუ ხდება მათი ლოკალური ბმა. ეს ნიშნავს, რომ წყლის მიერ წამოღებული რომელიმე მძიმე მეტალის ელემენტი, მაგნიტური ველის არაერთგვაროვნების გამო შეიძლება სადღაც გაჩერდეს. ამრიგად, ჩნდება ნიადაგში მძიმე მეტალების დაგროვების მაგნიტური მექანიზმი, რაც იწვევს რეგულარობის დარღვევას დაბინძურების სურათში, ანუ არაერთგვაროვნების წარმოქმნას ნიადაგში მძიმე მეტალების სივრცულ განაწილებაში. ეს შეიძლება მოხდეს მაშინაც კი, როცა გრუნტში წყალი თანაბრად მოძრაობს ყველა მიმართულებით. აღწერილი ფიზიკური ეფექტის მათემატიკური მოდელირება სრულფასოვნად კორექტული ანალიზური გზით შეუძლებელია. ამისათვის უნდა მოხდეს დიფუზიის განტოლებაში კონვექციური წევრების დამატება, ხოლო წყლის მოძრაობის განტოლებაში გათვალისწინებული უნდა იყოს მაგნიტური ეფექტი. ფაქტიურად ეს ნიშნავს თვითშეთანხმებული მაგნიტოჰიდროდინამიკური ამოცანის ანალიზურ ამოხსნას. ასეთი სირთულე შეიძლება დაძლეული იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩავთვლით, რომ მაგნიტური ძალების ეფექტი მხოლოდ არაცხადად ვლინდება დაბინძურების მიგრაციის პროცესში, ანუ აისახება მხოლოდ დიფუზიის კოეფიციენტის სიდიდეში. ასეთი დაშვების სამართლიანობისათვის პირველ რიგში აუცილებელია კონკრეტული ნიადაგის სტრუქტურული ანალიზი, მისი მაგნიტური ამთვისებლობის განსაზღვრის მიზნით. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ მსგავსი დაშვება მეტ-ნაკლებად შეცვლის დაბინძურების ერთგვაროვანი განაწილების დამყარებისათვის საჭირო დროით ინტერვალს.

მათემატიკური მოდელი. აზიმუტალური სიმეტრიის მიახლოებაში დაბინძურების სივრცული განაწილების სურათი მიიღება ერთგანზომილებიანი არასტაციონარული დიფუზიის განტოლებიდან

$$\frac{\partial K}{\partial t} = D \left(\frac{\partial^2 K}{\partial r^2} + \frac{2}{r} \frac{\partial K}{\partial r} \right), \quad t > 0, \quad (1)$$

სადაც K – დაბინძურების კონცენტრაციაა, D – დიფუზიის კოეფიციენტი, t – დრო, r – რადიალური კოორდინატა.

ცნობილია, რომ (1) განტოლების ზოგადი ამონახსნი წარმოადგენს ფურიე კომპონენტების უსასრულო ჯამს [9,10]

$$K(r,t) = \sum_{n=1}^{\infty} \left\{ \frac{2}{R} \int_0^R r \varphi(r) \sin \frac{n\pi r}{R} dr \right\} \frac{1}{r} \sin \frac{n\pi r}{R} e^{-\left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt}. \quad (2)$$

კონკრეტული ამონახსნი, სასაზღვრო პირობის გარდა დამოკიდებული იქნება $\varphi(r)$ -ფუნქციაზე, რომელიც დაკავშირებულია საწყის პირობასთან, ანუ დაბინძურების კონცენტრაციის განაწილებასთან დროის საწყის მომენტში

$$K|_{t=0} = \varphi(r), \quad 0 \leq r < R, \quad (3)$$

სადაც R-დაბინძურებული არის რადიუსია. ჩვენი მოდელის ფარგლებში დაბინძურების დონის ცვლილების სურათის თეორიული ვარიანტების სრულფასოვნად წარმოდგენისათვის საჭიროა $\varphi(r)$ პარამეტრის სხვადასხვა მოდელების განხილვა. კერძოდ, ქვემოთ გამოყენებული იქნება დაბინძურების საწყისი კონცენტრაციის შემდეგი განაწილებები

- 1) $\varphi(r) = K_0 = const,$
 - 2) $\varphi(r) = K_0 \delta(r),$
 - 3) $\varphi(r) = K_0 \frac{R}{r},$
- (4)


სადაც $\delta(r)$ -წარმოადგენს დირაკის დელტა ფუნქციას: $\delta(r)|_{r \neq 0} = 0, \delta(r)|_{r=0} = \infty.$

ამრიგად, პირველ შემთხვევაში ქიმიური დაბინძურების საწყისი კონცენტრაციის წრიული განაწილება მუდმივი იქნება, მეორე შემთხვევაში გვექნება წერტილოვანი დაბინძურება, რადგანაც საწყისი კონცენტრაცია დირაკის დელტა-ფუნქციის ფორმის იქნება, რაც შეეფერება წერტილოვანი ატმოსფერული გამონაფრქვევის სიტუაციას, ხოლო მესამე შემთხვევაში გვექნება პირველი ორი მოდელის შერეული ვარიანტი.


თუ ჩავთვლით, რომ საზღვარზე დაბინძურება ფონური მნიშვნელობისაა, რაც იმის ექვივალენტურია, რომ დაბინძურება არ გვაქვს, სამივე მოდელისათვის გვექნება საერთო სასაზღვრო პირობა

$$K(R, t) = 0. \quad (5)$$

ცნობილია, რომ დროის მოცემულ მომენტში უსასრულო კრებადი ჯამით (2) წარმოდგენილი დიფუზიის განტოლების ამონახსნი პრაქტიკულად სრული ხდება, როცა $n \geq 40$. ამ ამონახსნის დროში მიღევას განსაზღვრავს წევრი: $e^{-\left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt}$, რომლის ხარისხის მაჩვენებელი დამოკიდებულია რამდენიმე მახასიათებელზე. ცხადია, რომ მსგავსი მრავალპარამეტრიანი დამოკიდებულება ზოგადად ართულებს დროის კონკრეტულ მომენტში (2) გამოსახულებით წარმოდგენილ მოდელურ სურათს. თუმცა, თეორიიდან ცნობილია, რომ დიფუზიური ტიპის არასტაციონარულ განტოლების ზოგადი ამონახსნით განსაზღვრული ფიზიკური სიდიდის განაწილება მეტ-ნაკლებად გაჯერებული ხდება, როცა დროში ცვლილების განმსაზღვრელი განუზომელი პარამეტრი დააკმაყოფილებს პირობას $T = \left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt \geq 0.4$ [10]. (2) ამონახსნის ეს თვისება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს რუსთავის ცენტრალურიპარკის ტერიტორიაზე ნაყარი წიდით გამოწვეული დაბინძურების სურათის უხეში რეტროსპექტული რეკონსტრუქციისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ინფორმატიული შეიძლება იყოს (4) მოდელების შესაბამისი გრაფიკული წარმოდგენები (სურ.1-5), რომლებიც წარმოადგენენ (2) გამოსახულების ზოგადი ამონახსნის თვისებრივ-რაოდენობრივ ვიზუალიზაციას კონკრეტულ შემთხვევაში.




ნახ.1




ნახ.2

ნახ.1 შეესაბამება (4) პირობის პირველ შემთხვევას, ანუ წარმოადგენს საწყისი დაბინძურების ერთგვაროვანი განაწილების შესაბამის სურათს. როგორც ამ, ასევე შემდგომ ნახატებზე, რომლებიც წარმოადგენენ (4)-ის დანარჩენი მოდელების ვიზუალიზაციას, პირველი მრუდი შეესაბამება $T=0.1$. რაც აგრეთვე წარმოადგენს შემდეგი მრუდების ბიჯს. ცხადია, რომ პირველი მოდელის შემთხვევაში დაბინძურების დონის მახასიათებელი სიდიდე დროთა განმავლობაში ყველაზე მდორედ იცვლება. ეს, მოდელის ხასიათის გარდა, გამოწვეულია აგრეთვე (5) სასაზღვრო პირობის სპეციფიკით, რომელიც არაცხადად გულისხმობს დიფუზიას დედამიწის ზედაპირიდან სიღრმული ფენებისაკენ. ნახ.2 შეესაბამება (4)-ის მე-2 ვარიანტს, ანუ უსასრულოდ დიდი წერტილოვანი დაბინძურების შემთხვევას. შედარებიდან სჩანს, რომ ამ ნახატზე რაოდენობრივი განსხვავება 1 და 4 მრუდების მაქსიმუმებს შორის დაახლოებით ერთი რიგია, თანაც $T=0.4$ შემთხვევისათვის დამაბინძურებელი ელემენტის დიფუზია უკვე აღწევს პირობითად მაპროქსიმირებელი წრის საზღვარს. ასეთი სურათი ეთანხმება (2) გამოსახულების ზოგად თვისებას ერთგვაროვანი განაწილებისაკენ მისწრაფებასთან დაკავშირებით, როცა განუზომელი პარამეტრი $T \geq 0.4$. ნახ.3-ზე მოცემულია (4)-ის მეორე მოდელის შესაბამისი 1 მრუდის ჰისტოგრამა, როცა უჯრედების რიცხვი $m=20$, ხოლო ნახ.4-ზე წარმოდგენილია შესაბამისი პროცენტული დიაგრამა.




ნახ.3



ნახ.4

ასევე, საინტერესოა ნახ.3-ის შედარება წრიული დიაგრამის 4-ის ანალოგიურ მახასიათებლებთან, რომლებიც წარმოდგენილია ნახ.5-ზე, რაც იძლევა თვისებრივი ინფორმაციას T განუზომელი პარამეტრის ფიზიკურ შინაარსთან დაკავშირებით.



ნახ.5

კერძოდ, ცხადად იკვეთება დიფუზიის კოეფიციენტის რაოდენობრივი ეფექტი დროსთან კომბინაციაში. ეს ნიშნავს, რომ დაბინძურების დონის ცვლილების რეტროსკოპიული ანალიზის დროს საკმაოდ კორექტულია გამოვიყენოთ დაბინძურების დონის ცვლილების თეორიული მრუდები როგორც დროის მოცემულ მომენტში, ისე დროში საკმარისად დაშორებული გაზომვების შემთხვევაშიც. განსხვავებული თეორიული მოდელების ვიზუალიზაცია, მიღებული T პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის, იძლევა თვისებრივ საშუალებას, რათა შევასდეს დაბინძურების ინტენსივობის კლების რაოდენობრივი მახასიათებელი კონკრეტული დაბინძურების მონაცემების გამოყენებით. თუმცა ასეთი შეფასება საკმაოდ უხეში იქნება, შედარებითი ანალიზი მოგვცემს საშუალებას ვიმსჯელოთ დიფუზიის კოეფიციენტის გარკვეულ მახასიათებელ მნიშვნელობაზე დაბინძურების არეალის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, გაზომვების რამდენიმე დროში დაშორებული სერიის მონაცემები შეიძლება გახდეს საწყისი დაბინძურების დონის თუმცა უხეში, მაგრამ ფიზიკური თვალსაზრისით საკმაოდ კორექტული შეფასების საფუძველი.

დასკვნა. დიფუზიური მოდელის დახმარებით არსებობს რუსთავის მეტალურგიული კომბინატში გამომუშავებული წიდის გარემოში დაყრის შედეგად გამოწვეული შესაძლო რადიაციული დაბინძურების ინტენსივობის დროსა და სივრცეში ცვლილების რეტროსპექტიული სურათის მიახლოებითი რეკონსტრუქციის პრინციპული შესაძლებლობა. ასეთი ხერხი ფიზიკური თვალსაზრისით სრულიად კორექტულია, რადგან დიფუზიის განტოლება გამოყენებულია სხვადასხვა ქვეყანაში მომქმედი რადიაციული დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმების (ზდკ) დასადგენად [11].


მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი მოდელი იძლევა საკმარის თვისებრივ-რაოდენობრივ ინფორმაციას, რადგანაც დიფუზიის განტოლების ანალიზურ ამონახსნში შემავალი, განზომილების არმქონე, T პარამეტრის დახმარებით შესაძლებელია შევავასოთ დაბინძურების ინტენსივობის დროში მიღება. ამასთან, დედამიწის ზედაპირულ ფენაში დაბინძურების მიგრაციის პროცესში გარემოს დიფუზიის კოეფიციენტი მონაწილეობს განყენებულად, დროსთან და დაბინძურების მახასიათებელ ხაზოვან მასშტაბთან კომბინაციაში. ამიტომ, დაბინძურების დინამიური სურათის აგებისათვის საკმარისი იქნება ერთნაირი კოორდინატების მქონე წერტილებიდან აღებული, მაგრამ დროში დაშორებული, ლაბორატორიული ნიმუშების რადიაციული აქტივობების შეფარდება. ბუნებრივია, რომ ამ დროს აუცილებლად იქნება ობიექტური ცთომილება კოორდინატებში. თუმცა, თუ დაბინძურების ფართი ფიქსირებულია, ხოლო სინჯების რიცხვი საკმაროდ დიდია, ნახ.1-3-ზე მოცემული მრუდების, როგორც პალეტების, გამოყენებით შესაძლებელი იქნება განუზომელი პარამეტრის სიდიდის განსაზღვრა. სავარაუდოა, რომ ასეთი მეთოდი, თვისებრივის გარდა, უხეშად, მაგრამ მაინც საკმაოდ სანდოდ, მოგვცემს რაოდენობრივ ინფორმაციას რადიაციული დაბინძურების მიგრაციაზე და მისი ინტენსივობის დროში კლების რაოდენობრივი მახასიათებლებზე. კერძოდ, ასეთი მიდგომა გამოყენებული იყო ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე, სადაც აღებული იყო ნიადაგის 100-მდე სინჯი 30-40 სმ. სიღრმეზე. ნიმუშების 40% პარკიდან იყო, ხოლო დანარჩენი, შეთხვევითი წესით, თუმცა ქარის გაბატონებული მიმართულების გათვალისწინებით. კერძოდ, ნიადაგში კალიუმის, ცეზიუმისა და სტრონციუმის შემცველობაზე შემოწმდა ცენტრალური პარკის ის ზონა, სადაც ადრეულ

წლებში მოხდა მეტალურგიულ კომბინატში გამომუშავებული წიდის დაყრა. პარკის ტერიტორიაზე აღებული სასინჯი კვადრატის გვერდი ემთხვევა დიფუზიურ მოდელში გამოყენებული მააპროქსიმირებელი წრის რადიუსს (სურ.1). სურათზე აღნიშნულია ზოგიერთი იმ წერტილის კოორდინატები, რომელთა შესაბამისი სინჯების ლაბორატორიული შემოწმების შედეგები მოცემულია ცხრილში, აგრეთვე წარმოჩენილია ზოგიერთი სხვა ნიმუშის ანალიზის შედეგები. ეს მონაცემები, მომავალში, სავარაუდოდ, შეიძლება გახდეს რუსთავის ტერიტორიაზე საწყისი რადიაციული დაბინძურების დონის მიახლოებითი განსაზღვრის საფუძველი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოთ აღნიშნული რადიონუკლიდებით რუსთავის ტერიტორიის დაბინძურება პრაქტიკულად იმ ნორმის ფარგლებშია. ასეთი შეფასების საფუძველია უკრანაში მოქმედი მარეგულაციონირებელი ნორმატიული დოკუმენტი:

[http://chornobyl.in.ua/dopustimie-urovni-soderzaniya-137cs90sr.html/;](http://chornobyl.in.ua/dopustimie-urovni-soderzaniya-137cs90sr.html/)

[http://www.zerno.org.ua/articles/quality/.](http://www.zerno.org.ua/articles/quality/)

ამ ნორმატიული დოკუმენტის თანახმად ცხრილში მოყვანილი რადიონუკლიდების ნიადაგში კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ინტერვალის ქვედა, ე.ი. ყველაზე მკაცრი, მნიშვნელობებია: Cs-137, ≈ 50 ბეკ/კგ; Sr-90 ≈ 20 ბეკ/კგ; K-40 ≈ 370 ბეკ/კგ ცხრ. მონაცემების მსგავსად, სხვა სინჯების მონაცემებიც ადასტურებენ, რომ რადიაციული დაბინძურების დონე შემოწმებულ ფართზე ნორმის ფარგლებშია. მიუხედავად ამისა ცხადია, რომ ეს ინფორმაცია პირველადია და მომავალში უნდა დადასტურდეს პერიოდული მონიტორინგის მონაცემებით.



სურ. 1

კოორდინატები იN°, E°	რადიო- ნუკლიდი	აქტივაცია ბეკ/კგ	საშ. ცდომილება	საწყი. ცდომილება %	გაზომ. ცდომილება ეკ/კგ
41.54375090, 45.00227271 (1)	CS-137	11.9	22.6	24.8	4,26
	SR-90	0.00	21.2	>100	22,8
	K-40	449	109	4.2	143.4
41.51162253, 45.0035565 (2)	CS-137	11.6	22.1	>100	4,19
	SR-90	0.00	21.4	>100	22,8
	K-40	451	98	4.4	145.8
41.54108039, 45.00117191 (3)	CS-137	10.4	10.3	>100	4,12
	SR-90	0.00	22.8	>100	22,2
	K-40	450	96	4.4	146.3
41.543388201, 45.00159165 (4)	CS-137	49.8	98.9	>100	14,18
	SR-90	23.6	4.1	>100	25,3
	K-40	440	89	4.2	140.3
41.5432844, 45.00117014 (5)	CS-137	14.1	18.3	>100	8,18
	SR-90	19.5	3.8	>100	30,5
	K-40	457	101	4.2	148.3
41.530993, 45.023877	CS-137	0,00	2,45	>100	2,45
	SR-90	243	56,9	11,4	70,0
	K-40	485	107	8,5	135
41.531055, 45.024001	CS-137	1,90	2,26	>100	2,26
	SR-90	0,00	22,8	>100	22,8
	K-40	257	57,1	8,8	71,6
41.538751, 45.022429	CS-137	0,00	2,74	>100	2,74
	SR-90	0,00	23,9	>100	23,9
	K-40	163	41,3	15,1	49,5
41.538881, 45.016097	CS-137	0.00	2.50	>100	2.50
	SR-90	0.00	24.8	>100	24.8
	K-40	270	60.5	9.3	75.5
41.530725, 45.040754	CS-137	0.00	4.05	>100	4.05
	SR-90	25.7	36.5	>100	36.5
	K-40	817	163	4.0	218
41.543262, 45.024621	CS-137	26.8	6.49	13.1	7.90
	SR-90	0.00	24.4	>100	24.4
	K-40	4.3	84.2	6.3	110
41.544697, 45.024183	CS-137	26.8	6.49	13.1	7.90
	SR-90	0.00	24.4	>100	24.4
	K-40	4.3	84.2	6.3	110
41.537309, 45.017687	CS-137	11.	3.90	25.7	4.35
	SR-90	00	27.4	>100	27.4
	K-40	328	72.5	8.6	91.1
41.538089, 45.019445	CS-137	1.27	2.56	>100	2.56
	SR-90	14.2	24.4	>100	24.4
	K-40	391	81.7	6.4	106
41.539259, 45.020088	CS-137	0.00	2.13	>100	2.13
	SR-90	26.4	20.1	76.1	21.3
	K-40	35.9	30.1	84.6	31.8

ლითონის დისკი (ფეხიდან გამოდნობილი ელექტროდი)					
	CS-137	31.5	17.6	55.7	19.4
	SR-90	65.9	15.8	12.8	19.3
	K-40	24.0	40.9	>100	40.9
ლითონის გადამუშავებისას დარჩენილი ნარჩენი (წიდა)					
	CS-137	17.0	7.6	40.3	8.20
	SR-90	18.6	25.0	>100	25.0
	K-40	215	48.2	9.2	60.2
ლითონის ნატეხი (ელექტროდი)					
	CS-137	8,33	6,29	75,5	6,66
	SR-90	6,00	23,4	>100	23,4
	K-40	159	37,2	11,6	45,7

ლიტერატურა

1. Чикенева, И.В. Особенности накопления тяжелых металлов в изучаемых растительных сообществах и их воздействие на окружающую среду. Известия Оренбургского государственного аграрного университета, № 2 (40), 2013, с. 228-231.
2. მირიანაშვილი ქ. „ატმოსფეროს გამაჟუჟყვიანებელი ფაქტორებისა და მეტეოროლოგიური ელემენტების ცვლილების მათემატიკური მოდელირება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი გავლენის შესწავლა.“ თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2005 წ., 195 გვ.
3. Надарейшвили К. Ш., Цицкишвили Л. Н., Хазарадзе Р. Е., Манджгаладзе Д. Н., Вепхвадзе Р.Я., Киртадзе С. Р. Воздействие Чернобыльской катастрофы на радиоэкологическую ситуацию в Закавказье. Сообщение II. О возможном проявлении влияния Чернобыльской катастрофы на здоровье населения республики Грузия. Радиационные исследования, Т. 6, Тбилиси, 1991. с. 152-165.
4. Талашов Д.Н., Волкова Е.Н. Зола-унос ТЭС и котельных, как замена местных известковых материалов. С.-Петербургский государственный технологический университет растительных полимеров; 2018, https://revolution.allbest.ru/ecology/00966791_0.html
5. ვეფხვაძე ნ. „ჰიგიენა“ – ლექციების კურსი. I-II ნაწილი. რედ. გელაშვილი, თბილისი, 1998, გვ. 263-500.
6. ნადარეიშვილი კ., გუგუშვილი ბ. „რადიაციული ეკოლოგია“ – ბიბლიოგრაფია. საქართველოს ეკოლოგიური სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს ბიო-სამედიცინო ტექნიკ. საზოგადოება-თბილისი, 1991, ტ. I, 608 გვ..
7. Васильев А.А., Чашин А.Н. Тяжелые металлы в почвах города Чусового. Оценка и
8. диагностика загрязнения.
https://pgsha.ru/export/sites/default/faculties/agrohim/agrohim_files/monografiya_a.a._vasil_ev__a.n.chaschin.pdf
9. Кобранова В.Н. Петрофизика. М, Недра, 1986, 392 с.
10. Тихонов А.Н., Самарский А.А. Уравнения математической физики М.: Гос. изд. тех.-теор. лит., 1953. — 680 с.
11. Карслоу Г., Егер Д. Теплопроводность твердых тел, М. Наука. 1964. -488 с
12. Водяницкий Ю. Н. Нормативы содержания тяжелых металлов и металлоидов в почвах // Почвоведение. 2012. № 3. с. 368–375.

ნიადაგის ზედაპირის რადიაციულ -ქიმიური დაბინძურების ინტენსივობის ცვლილების არასტაციონარული მოდელი

ჩანქსელიანი ზ., მათიაშვილი ს., კერესელიძე ზ., ჩხიტუნიძე მ.

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში რადიალური სიმეტრიის მიახლოებაში წარმოდგენილი დიფუზიური მოდელი იძლევათვისებრივ-რაოდენობრივ ინფორმაციას იმისათვის, რომ შევაფასოთ რადიონუკლიდებით ნიადაგის ზედაპირული დაბინძურების ინტენსივობის დროში მილევის პროცესი. ეს შესაძლებელია დიფუზიის განტოლების ანალიზურ ამონახსნში შემავალი განზომილების არმქონე $T = \left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt$ პარამეტრის დახმარებით. ამ გამოსახულებაში გარემოსდიფუზიის კოეფიციენტი D მონაწილეობს t დროსთან და R დაბინძურების მახასიათებელ ხაზოვან მასშტაბთან კომბინაციაში. გარემოს დაბინძურების დონის ცვლილების რეტროსკოპიული სურათის ასაგებად საკმარისი იქნება მუდმივი კოორდინატების მქონე წერტილებში სხვადასხვა დროს აღებული ნიადაგის ნიმუშების რადიაციული აქტივობების შეფარდება. თუ დაბინძურების ფართი ფიქსირებულია, ხოლო სინჯების რიცხვი საკმაოდ დიდი, დიფუზიის განტოლების ანალიზური ამონახსნის გრაფიკული წარმოდგენების საშუალებით შესაძლებელი იქნება T პარამეტრის სიდიდის განსაზღვრა. სავარაუდოა, რომ ასეთი მეთოდი, თვისებრივის გარდა, უხეშად, თუცა საკმაოდ სანდოდ, მოგვცემს ინფორმაციას რადიაციული დაბინძურების მიგრაციაზე და მისი ინტენსივობის დროში კლების რაოდენობრივი მახასიათებლებზე. ჩვენს მიერ ასეთი მეთოდი გამოყენებული იყო ქ. რუსთავის ტერიტორიისათვის, სადაც 30-40 სმ. სიღრმეზე აღებული იყო ნიადაგის 100-მდე სინჯიკალიუმის, ცეზიუმისა და სტრონციუმის შემცველობაზე. სინჯების 40% ცენტრალური პარკიდან იყო აღებული, სადაც ადრეულ წლებში მოხდა მეტალურგიულ კომბინატში გამომუშავებული წილის დაყრა. დანარჩენი სინჯები აღებული იყო შემთხვევითი წესით, მაგრამ ქარის გაბატონებული მიმართულების გათვალისწინებით. რადიონუკლიდური ანალიზის პირველად შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქ. რუსთავის ტერიტორიის რადიაციული დაბინძურება პრაქტიკულად ნორმის ფარგლებშია. მიღებული მონაცემები მომავალში შეიძლება გახდეს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე რადიაციული დაბინძურების საწყისი დონის განსაზღვრისა და შემდგომში დროში ცვლილების მიახლოებითი რეტროსკოპიული სურათის წარმოდგენის საფუძველი.

Нестационарная модель изменения интенсивности радиационно-химического загрязнения поверхности почвы

Чанкселиани З.Ж., Матиашвили С.Б., Кереселидзе З.А., Чхитунидзе М.С.

Реферат

В этой работе модель диффузии, представленная по радиальной симметрии, дает качественно-количественную информацию для оценки процесса уменьшения во времени интенсивности загрязнения радионуклидами поверхности почвы. Это можно сделать с помощью безразмерного параметра $T = \left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt$, входящего в аналитическом решении уравнения диффузии. В этом изображении коэффициент диффузии окружающей среды D участвует в комбинации со

времени t и в комбинации характеристического линейного масштаба загрязнения R . Чтобы создать ретроспективный образ уровней загрязнения окружающей среды, будет достаточно взять соотношение радиационных активностей проб почвы, взятых в разных точках с постоянными координатами. Если площадь загрязнения зафиксирована, а количество выборок достаточно велико, можно определить размер параметра T с помощью графических представлений аналитического решения уравнения диффузии. Вероятно, такой метод, помимо характеристики, грубо, но достаточно надежно даст нам информацию о миграции радиационного загрязнения и качественных характеристиках о его уменьшении интенсивности во времени. Мы использовали этот метод для г. Рустави, где были взяты около 30-40 см глубины почвенных образцов калия, цезия и стронция. 40% образцов были взяты из центрального парка, где в первые годы шлак производился в металлургическом заводе. Остальные образцы были взяты случайным образом, принимая во внимание преобладающее направление ветра. Исходя из первых результатов радионуклидного анализа, можно сделать вывод, что радиационное загрязнение территории г. Рустави практически соответствует норме. Полученные данные могут стать основой для определения начального уровня радиационного загрязнения в городе Рустави и последующего представления приблизительной ретроскопической картины изменения во времени.

Non-stationary model of intensity variation in radial-chemical pollution of soil surface

Chankseliani Z., Matiashvili S., Keresekidze Z., Chkhitudze M.

Abstract

In the paper the diffusion model given in the radial symmetry approximation gives qualitative-quantitative information to evaluate the intensity attenuation process of the pollution of soil surface by radionuclides in time, which becomes possible by means of non-dimensional $T = \left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt$ parameter belonging to the analytical solution of the diffusion equation. In this expression D environment diffusion acts together with the linear scale characteristic of t time and R pollution. To construct a retroscopic image of environment pollution degree variation it is sufficient to correlate the radial activities of the soil samples taken at different times at points having permanent coordinates. In case the pollution area is fixed and the samples are numerous it will be possible to determine the value of T parameter by means of the graphical images of the analytical solution of the diffusion equation. Probably, this method, besides qualitative, gives rough but reliable information on the migration of radial pollution and the quantitative properties of its intensity decrease in time. We used this method for the territory of Rustavi city, where we took nearly 100 samples to determine potassium, caesium and strontium contents in the soil at the depth of 30-40 cm. 40% of the samples were taken in the central park from the slag left as waste product by metallurgical works in the past. The rest of the samples were randomly chosen. However, we took the dominant direction of the wind into consideration. According to the preliminary results of the radionuclide analysis we may conclude that the radial pollution of the Rustavi territory does not exceed the permissible limit. In future, the obtained data may become the basis for determination of the initial degree of the radial pollution and enable constructing the approximate retroscopic image of its further variation in time on the territory of Rustavi.

წყლის ხარჯის შეფასება მდინარე ვერეს 13.06.2015 წლის წყალმოვარდნის დროს

კერესელიძე ზ., ხვედელიძე ი.

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიაშ სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი
Irine.khvedelidze@tsu.ge*

შესავალი. მდინარე ვერეს (სიგრძე 45 კმ, ვარდნის სიმაღლე 1290 მ.), ყველა მთის მდინარის მსგავსად, პერიოდული წყალმოვარდნები ახასიათებს, რაც მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და ზოგჯერ ადამიანურ მსხვერპლსაც იწვევს. ვერეს ხეობაში სტიქიური ბუნებრივი პროცესების მავნე შედეგებს ხელს უწყობს რთული რელიეფი და არამდგრადი ქანები. ამას ბოლო ათწლეულებში დაემატა თბილისის ტერიტორიაზე ვერეს ჭალაში მოსახლეობის განუკითხავი ქმედება და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ოფიციალურად ნებადართული სამოქალაქო მშენებლობა. ყოველივე ამის გამო 2015 წლის 13 ივლისის დამეს ვერეს დახურული კალაპოტის გვირაბებმა ვერ გაატარეს ქვა-ღორღითა და მყარი საგნებით გაჯერებული ღვარცოფული მასა, რომელიც თავდაპირველად შეგუბდა სვანიდის ქუჩაზე. შემდგომში მოხდა ვერეს ხეობის მასშტაბური დატბორვა თამარაშვილის მაგისტრალსა და ზოოპარკს შორის. წყალმოვარდნის კატასტროფული შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობა ვერეს ხელოვნური დახურული კალაპოტის ჰიდრავლიკურმა წინააღმდეგობამ, რომელიც წარმოადგენდა ჩქაროსნული საავტომობილო გზის მონაკვეთის შემადგენელ ელემენტს.

ნებისმიერი ჰიდროტექნიკური ნაგებობის პროექტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ობიექტის ექსპლუატაციის სპეციფიკითა და ბუნებრივი გარემო პირობების ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური ჰიდროდინამიკური ეფექტების სრულფასოვან ანალიზს. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გამონაკლისი ყოფილიყო ვერეს ხეობაში რეალიზებული ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის მონაკვეთის პროექტი. ამ მშენებლობამ მოითხოვა ვერეს ხეობის ქვედანაწილში მდინარის ბუნებრივი ღია კალაპოტის ცვლილება. გაკეთდა ხელოვნური დახურული კალაპოტი, რომელიც წარმოადგენდა ადრე არსებული ორი გვირაბისა და შვიდი ახალი გვირაბის ერთობლიობას 2100 მეტრი საერთო სიგრძით. დახურული კალაპოტის საწყისი და ბოლო უბნების მოდერნიზაცია მოხდა ძველი გვირაბების ახალ გვირაბებზე გადაბმით. ამიტომ, დღეს თამარაშვილის მაგისტრალის ქვეშ გამავალი გვირაბის სიგრძე, საწყისი 108 მეტრის მაგიერ, შეადგენს ≈ 360 მეტრს, ხოლო გმირთა მოედნის ქვეშ მტკვრისაკენ გამავალი 700 მეტრიანი გვირაბი დაგრძელდა ≈ 500 მეტრით. ცხადია, რომ ასეთი ხელოვნური ცვლილების შედეგად რადიკალურად შეიცვალა ვერეს ბუნებრივი კალაპოტის გეომეტრია და, შესაბამისად, ხეობის ჰიდროლოგიური პარამეტრები.

ვერეს დახურული კალაპოტის მოდელირება. როგორც 13.06.2015 წ. კატასტროფულმა წყალმოვარდნამ აჩვენა, ვერეს დახურული კალაპოტის კონსტრუქცია სრულყოფილი არ აღმოჩნდა ექსტრემალური დატვირთვის შემთხვევაში. უკვე ამიტომ, დახურული კალაპოტის კონსტრუქციის ასეთი სპეციფიკა და მასთან ჰიდრაულიკური რისკების შეფასება აპრიორი მოითხოვდა მკაცრ თვისებრივ-რაოდენობრივ ანალიზს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დახურული კალაპოტის სახით საქმე გვაქვს ისეთ ჰიდროტექნიკურ ობიექტთან, რომელიც არ იძლევა წყლის ხარჯის მართვის საშუალებას. სხვა მდინარეებისა და სხვადასხვა დანიშნულების მქონე ჰიდროტექნიკური წყალგამტარების მსგავსად, ვერეს დახურული კალაპოტის ჰიდრაულიკური პარამეტრების განსაზღვრისათვის საჭიროა გამოვიყენოთ კალაპოტის აპროქსიმაცია წრიული კვეთის მქონე მილით. ეს მეთოდი რადიალური სიმეტრიის მიახლოებაში იძლევა ჰიდროდინამიკური მსგავსების პრინციპის გამოყენების საშუალებას. ცნობილია, რომ არ არსებობს ლამინარული დინების ტურბულენტურში გადასვლის ერთიანი თეორია. თუმცა თუკი მოქმედებს დინების შემაშფოთებელი რომელიმე ტექნოგენური ფაქტორი, მაგალითად: ვიბრაცია ან ზედაპირის ხაოიანობა, ლამინარული დინების გადასვლა ტურბულენტურში გარდაუვალია. სწორედამ ნეგატიური ეფექტის არსში გარკვევისათვის იყო გამოყენებული ვერეს დახურული კალაპოტის აპროქსიმაცია წრიული კვეთის მქონე მილით [1]. რადგანაც, მილის დიამეტრის ზრდასთან ერთად, ჰიდროდინამიკური მსგავსების პრინციპი შეიძლება დაირღვეს თეორიულად შეუძლებელია წრიული მილის დიამეტრის (რადიუსის) კრიტიკული ზომის დადგენა. ამრიგად, უცნობია რაოდენობრივი ცვლილების თვისებრივში გადასვლის ზუსტი ჰიდროდინამიკური კრიტერიუმი. თუმცა აშკარაა, რომ მილის დიამეტრის ზრდასთან დაკავშირებული ცთომილება შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, ეს შესაძლოა გამოიწვიოს მილში მაქსიმალურ მნიშვნელობაზე გაცილებით უფრო დაბალმა წყლის ხარჯმა. ცნობილია, რომ ეს ეფექტი ყოველთვის არის დაკავშირებული ლამინარული დინების ტურბულენტურში გადასვლის მომენტის მახასიათებელი განუზომელი პარამეტრის, რეინოლდსის რიცხვის ცვლილებასთან, რომელიც წარმოადგენს ჰიდროდინამიკური მსგავსების მთავარ პარამეტრს [2-4]. კერძოდ, 2015 წლის 13 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის ჰიდროლოგიური პარამეტრების ქვემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვითარებული ტურბულენტობის რეჟიმში მილის სრული დატვირთვა სულაც არ ნიშნავს მის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას. თუმცა, მილის არასრული დატვირთვი შემთხვევაში, წყლის ხარჯი შეიძლება იმდენად დაბალი იყოს, რომ ჰიდროდინამიკური მსგავსების პრინციპის დარღვევა საგრძნობი არც აღმოჩნდეს.

დახურულ კალაპოტში წყლის ხარჯის მოდელირების მათემატიკური საფუძველი. ლამინარულ მიახლოებაში მკაცრად სამართლიანია წყლის ხარჯის განმსაზღვრელი ხაგენ-პუაზეილის ფორმულა

$$Q = \frac{\pi R^4 (P_1 - P_2)}{8\eta L}, \quad (1)$$

სადაც R – წრიული კვეთის მქონე მილის რადიუსია, η – წყლის დინამიკური სიბლანტის კოეფიციენტი L -სიგრძე, $\Delta P/L$ – წნევის ცვლილება.

ტურბულენტური დინების შემთხვევაში მილში წყლის ხარჯის განმსაზღვრელი მკაცრი ფორმულა არ არსებობს, რის გამო საჭიროა გამოვიყენოთ ხაგენ-პუაზეილის ფორმულის მოდიფიკაცია ტურბულენტური დინების საშუალო სიჩქარის \bar{u} გამოყენებით

$$Q = \pi R^2 \bar{u}. \quad (2)$$

ერთგვაროვანი ლამინარული დინების შემთხვევაში $\Delta P/L$ – წნევათა სხვაობა მილის ერთეულ სიგრძეზე უკავშირდება მხებ ძაბვას სითხის პარალელურ ფენებს შორის. ტურბულენტურ სითხეში წნევათა სხვაობის ცვლილება კავშირშია მილის წინააღმდეგობასთან და რადიუსთან

$$\frac{P_1 - P_2}{L} = \frac{\lambda \rho}{4R} \bar{u}^2, \quad (3)$$

სადაც λ – მილის ჰიდრავლიკურ წინააღმდეგობაა.

ლამინარულ მიახლოებაში ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი λ დამოკიდებულია მხოლოდ რეინოლდსის რიცხვზე. ასეთი დამოკიდებულება სამართლიანია იმ შემთხვევაშიც, როცა დინების რეჟიმი ტურბულენტური ხდება. თუმცა, ამ დროს ჩნდება დამატებითი ფიზიკური ფაქტორი, რომელიც დამოკიდებულია მილის შიდა ზედაპირის სიგლუვეზე. ამიტომ, გარსდენადი ზედაპირის ხაოიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მილის წინააღმდეგობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს.

ტურბულენტური დინების შემთხვევაში მხები ძაბვის ფორმულა, ხაგენ-პუაზეილის ფორმულის მსგავსად, ტრანსფორმაციას განიცდის. ამ ფორმულიდან გამოდის, რომ ტურბულენტური დინების დროს მხები ძაბვა მილის შიდა ზედაპირზე დამოკიდებულია წყლის საშუალო სიჩქარის კვადრატზე

$$\tau_0 = \frac{\lambda}{8} \rho \bar{u}^2, \quad (4)$$

ისევე, როგორც წყლის ხარჯი ხაგენ-პუაზეილის (2) ფორმულის მიხედვით

$$Q = \frac{\pi R^3 \lambda}{16\nu} \bar{u}^2, \quad (5)$$

სადაც $\nu = \eta/\rho$ – წყლის სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტია [2]. ერთი შეხედვით, (5) ფორმულის პრაქტიკული ღირებულება, (2)-თან შედარებით, უფრო მაღალია, რადგანაც ის ცხადი სახით შეიცავს მილის ჰიდრავლიკურ წინააღმდეგობას. მაგრამ, რაოდენობრივი შეფასებებისათვის ფორმულა (5)-ის არაკორექტულმა გამოყენებამ შეიძლება მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რის გამოც მას შემდეგ არ გამოვიყენებთ.

გარსდენადი ზედაპირების ხაოიანობის მოდელირება. ამ ნეგატიური ეფექტის რაოდენობრივი შეფასება წარმოადგენს ექსპერიმენტული ჰიდროდინამიკის საგანს. თეორიის თანახმად, ნებისმიერი ფორმის (ოთხკუთხა, ოვალური, მრგვალი) კვეთის მქონე მილის ხაოიანობის ხარისხს განსაზღვრავს ერთი პარამეტრი $\beta = k/L_0$, სადაც k ხაოიანობის სიმაღლეა, L_0 – მილის განივი კვეთის მახასიათებელი ზომა. ცხადია, რომ წრიული კვეთის მქონე მილისათვის ეს პარამეტრი რადიუსის ტოლია. ჰიდროტექნიკურ ობიექტებზე, მილების მსგავსად, ყველგან არსებობს ხელოვნური ხაოიანობის ფაქტორი, გამოწვეული გარსდენადი ზედაპირების სიგლუვის დაბალი ხარისხით. ასეთმა ხაოიანობამ, ნალექთან კომბინაციაში, შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, მილის შიდა ზედაპირის ტალღისებურობა. პრაქტიკაში, სხვადასხვა ჰიდროტექნიკური დანიშნულების ობიექტებზე, ფარდობითი ხაოიანობა მერყეობს 0.2%-7% ინტერვალში [2,4]. აქედან გამომდინარე, რადგანაც ვერეს დახურული კალაპოტის ექვივალენტური მილის დიამეტრია $D \approx 8 \cdot 10^3$ მმ, მისთვის კრიტიკული უნდა ყოფილიყო უკვე 20 მმ აბსოლუტური ზომის (სიმაღლის) ხაოიანობა. ეს მა-

ხასიათებელი ზომა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ვერეს დახურული კალაპოტის კონსტრუქციაში გამოყენებული ფოლადის გოფრეს სიმაღლე $k=150$ მმ. ამიტომ, გოფრირებული ზედაპირი როგორც თვისობრივად, ასევე რაოდენობრივად წარმოადგენს ხელოვნური ხაოიანობის თვალსაჩინო მაგალითს.

ცნობილია, რომ ლამინარული დინების შემთხვევაში მილის წინააღმდეგობა ემორჩილება ბლაზიუსის კანონს $\lambda \approx 0.32 (Re)^{-1/4}$, ხოლო მილში დინების ნებისმიერი რეჟიმის დროს რეინოლდსის რიცხვი განისაზღვრება მილის განივი კვეთის დიამეტრის საშუალებით $Re = \frac{\bar{u}D}{\nu}$. ტურბულენტური დინების შემთხვევაში ლამინარული სასაზღვრო ფენის სისქე დამოკიდებულია სითხის კინემატიკურ სიბლანტეზე და ზედაპირული წინააღმდეგობის ძაბვასთან დაკავშირებულ პარამეტრზე, წინამიკურ სიჩქარეზე v_* . ამიტომ, ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ რეინოლდსის რიცხვთან ერთად, აგრეთვე შემოდის ხაოიანობის ეფექტის განმსაზღვრელი მეორე უგანზომილებო პარამეტრი $Re_* = \frac{kV_*}{\nu} \sim \frac{k}{\delta_l}$. იმისათვის, რომ ხაოიანი მილი ტურბულენტური დინებისათვისაც ჰიდროდინამიკურად გლუვი დარჩეს საკმარისია, რომ ხაოიანობამ არ იმოქმედოს მილის წინააღმდეგობაზე, ამისათვის მილის შიდა ზედაპირზე წარმოქმნილი ლამინარული სასაზღვრო ფენის სისქე უნდა აღემატებოდეს ხაოიანობის სიმაღლეს. მაგალითად, ხაოიანობის ნეგატიური ეფექტის სრული გამოვლინების რეჟიმში ხაოიანობის ყველა ელემენტი გამოდის ლამინარული სასაზღვრო ფენიდან და მილის წინააღმდეგობა კვადრატული კანონით იცვლება [2]

$$\lambda_1 = \frac{1}{(2lg\frac{R}{k} + 1.74)^2} \quad (6)$$

ხაოიანობით გამოწვეული წინააღმდეგობისათვის აგრეთვე არსებობს ალტერნატიული ფორმულა[3,4]

$$\lambda_k = \frac{1.3}{\ln^2(\frac{R}{k})} \quad (7)$$

ასეთი ნახევრად ემპირიული კავშირების გამომხატველი ფორმულები წარმოადგენენ ჰიდრაულიკის ქვაკუთხედს. რადგანაც ვერეს დახურული კალაპოტის გოფრირებული ზედაპირის ფარდობითი გეომეტრიული ხაოიანობაა: $\frac{R}{k} \approx 26.6$ ($R \approx 4\text{მ}$, $k \approx 0.15\text{მ}$), გვექნება, რომ $\lambda \approx 0.047$, ხოლო $\lambda_k \approx 0.12$. წყლის ხარჯის ქვემოთ მოცემულ რაოდენობრივ შეფასებებში, ამ სიდიდეებთან ერთად, დახურულ კალაპოტში წყლის დინების საშუალო სიჩქარის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნება აგრეთვე ალტერნატიული ფორმულები:

$$\bar{u} = \sqrt{\frac{4R\Delta p}{\lambda \rho l}} = \sqrt{\frac{8}{\lambda}} v_*, \quad (8)$$

$$\bar{u} = \sqrt{\frac{R\Delta p}{2\alpha^2 \rho l}} \ln \frac{R}{k} = \frac{v_*}{\alpha} \ln \frac{R}{k}, \quad (9)$$

რადგანაც $\frac{\Delta p}{l} = \rho v_*^2 \frac{2}{R}$, ხოლო $\alpha=0.4$ -ე.წ. კარმანის მუდმივაა.

დინამიური სიჩქარე უკავშირდება ჰიდროდინამიკური სიჩქარის მაქსიმუმს შემდეგი ნახევრად ემპირიული ფორმულით:

$$v_* = \frac{u_{max}}{5.75lg\frac{R}{k} + 8.48}. \quad (10)$$

იმ შემთხვევაში, თუ მილი მრუდწირულია, მასში აღიძვრება ცენტრიდანული ძალები, რომლებიც იწვევენ ლამინარული დინების დესტაბილიზაციას. მისი სიმძლავრე დამოკიდებულია მილის სიძრუდის რადიუსზე და გამოისახება ფორმულით

$$\frac{\lambda_r}{\lambda_0} = 1 + 0.075R_e^{1/4} \left(\frac{R}{r}\right)^{1/2}, \quad (11)$$

სადაც λ_0 – გლუვის წორხაზოვანი მილის წინააღმდეგობის კოეფიციენტი, r –მრუდწირული უბნის სიძრუდის რადიუსი.

ამრიგად, თუ მილი ხაოიანია, ხოლო მისი მრუდწირული უბნის სიძრუდე საკმარისად დიდია, დინების ტურბულენტურ რეჟიმში ერთდროულად იმოქმედებს მილის წინააღმდეგობის ზრდის ხელშემწყობი ორივე ფაქტორი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოსაყოფია პირველი გვირაბი, რომლის სიძრუდე ირიბი შეფასებით ახლოსაა ან შეიძლება აღემატება კიდევ სამშენებლო ნორმებით დასაშვებ სიდიდეს [5].

რეზერვუარის არსებობის შემთხვევაში ჰიდროდინამიკური სიჩქარის მაქსიმუმი უნდა განისაზღვროს ზოგადი ფორმულიდან

$$u_{max} = \sqrt{2gH}, \quad (12)$$


სადაც H სიმაღლეა, g - სიმძიმის ძალის აჩქარება. იმ შემთხვევაში თუ რეზერვუარი იცლება, ანუ H ცვლადია, (12) ფორმულა განიცდის ტრანსფორმაციას

$$\bar{u} = \frac{\sqrt{2g}}{H_0} \int_{H_1}^{H_2} \sqrt{H} dH \approx 2,97 \frac{1}{H_0} \left(H_2^{3/2} - H_1^{3/2} \right), \quad (13)$$

სადაც $H_0 = H_2 - H_1$ -წარმოადგენს რეზერვუარის საწყის და საბოლოო სიმაღლეებს შორის დონეთა სხვაობას.

ვერეს დახურული კალაპოტის ექსტრემალურ პირობებში გამტარუნარიანობის შეფასება. მოდელის თანახმად, პირველი გვირაბის წინ წყლის შეგუბებას არ ჰქონდა გადამწყვეტი როლი ხეობის დანარჩენი ნაწილის დატბორვაში. პირველ რიგში იმიტომ რომ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სვანიძის ქუჩაზე წარმოქმნილი დროებითი საგუბარის მოცულობა მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდა იმ მოცულობაზე, რომელიც დასახელებული იყო კატასტროფის უშუალოდ შემდგომ პერიოდში [6,7]. თუმცა, ამ რეზერვუარის პარამეტრები სრულად განაპირობებდა დახურული კალაპოტის (1 გვირაბი) შესასვლელში ჰიდროდინამიკურ სიჩქარეს. ეს სიდიდე, ცხადია, უნდა შეცვლილიყო პირველ გვირაბში უკვე მისი შესასვლელის მახლობლად. ეს ნიშნავს, რომ წყლის ხარჯის გამოსათვლელ ფორმულაში (2) უნდა გავითვალისწინოთ რეალური სიჩქარე, რომლისთვისაც უპრიანია გამოვიყენოთ ფორმულები (8) და (9). აპრიორი უპირატესობის მიცემა რომელიმე ამ ფორმულისათვის არასწორი იქნება, რადგანაც ყველა ჩვენი შეფასება ტარდება ნახევრადემპირიული ჰიდროდინამიკური თეორიის ფარგლებში. ბუნებრივია, რომ დახურული კალაპოტის მთელ სიგრძეზე პირველი გვირაბის მიერ გატარებულ წყლის ნაკადს დაემატებოდა ქალაქის წყლების ჩამონადენი და ნალექი ხეობის ამ ნაწილის ფართობიდან. ამიტომ, პირველ საგუბართან ერთად, შეგვიძლია შევაფასოთ აგრეთვე მეორე საგუბარის მოცულობაც, თამარაშვილის მაგისტრალსა და გაბაშვილის ქუჩას შორის. ეს შესაძლებლობა გვაქვს იქიდან

გამომდინარე, რომ ჩვენთვის ცნობილია წყლის დონის აბსოლუტური სიმაღლეები პირველი და მეორე გვირაბების შესასვლელებთან (ნახ. 1 და 2)



ნახ. 1



ნახ. 2

I საგუბარი. დროებითი საგუბრების გეომეტრია მოცემულია რუკაზე (ნახ. 2). პირველი გვირაბის წინ ვერეს კალაპოტის ნიშნულია $h_1 = 455$ მ. დროებითი საგუბარის აბსოლუტური სიმაღლე ცხადი კვალის მიხედვით იყო $h_2 = 472$ მ. წყალი თამარაშვილის მაგისტრალზე არ გადასულა, რადგანაც მაგისტრალის დონემდე დარჩა 1.5 მეტრი. დროებითი საგუბრის აპროქსიმაციისათვის საჭიროა აგრეთვე საგუბარის განივი ზომა, რომელმაც გვირაბის შესასვლელთან შეადგინა ≈ 50 მ. მოდელური საგუბრის სიგრძე განისაზღვრა თბილისის 1:10000 მასშტაბის, ფიზიკური რუკიდან (ნახ 1), რომელზედაც ვერეს ხეობაში დატანილი იქნა $H=472$ მ აბსოლუტური სიმაღლის წერტილი. ასეთი გზით განისაზღვრა $L \approx 1040$ მ. საგუბრის საშუალო სიმაღლეა $\bar{h} = 8.5$ მ. სიგანე, ვიზუალური შეფასებიდან გამომდინარე,

შეიძლება ჩავთვალოთ ინტერვალში $d = m$ [35-50] ამრიგად მივიღებთ, რომ სვანის ქუჩაზე დროებითი საგუბრის მოცულობა


$$W = \bar{h}Ld \quad (14)$$

შესაძლოა იყო ინტერვალში $W_1 \approx (3.1 \cdot 10^5 - 4.4 \cdot 10^5) \text{ } \rho^3$.

II საგუბარი. გაბაშვილის ქუჩამ, რომელიც გადის მეორე გვირაბის თავზე, მნიშვნელოვნად იმოქმედა, როგორც ზედა ბიეფმა, საიდანაც მოხდა საკმაო სიმაღლიდან წყლის ნაკადის გადადინება ვერეს ხეობის დანარჩენ ნაწილში. მეორე გვირაბის შესასვლელი მდებარეობდა $h_1 \approx 442 \text{ მ}$ ნიშნულზე, ხოლო გაბაშვილის ქუჩა $h_2 \approx 455 \text{ მ}$ ნიშნულზე. ამ საგუბრის მააპროქსიმირებელი პარალელეპიპედის სიგრძე $L \approx 200 \text{ მ}$. რადგან საგუბარი საკმაოდ მოკლეა შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ მისი საშუალო სიღრმეა $h_2 - h_1 = 13 \text{ მ}$, ხოლო სიგანე $d \approx 60 \text{ მ}$. შესაბამისად ამ საგუბარის სავარაუდო მოცულობა $W_2 \approx 1.6 \cdot 10^5 \text{ } \rho^3$.


სტაგნაციის ზონა. როგორც ვერეს დახურული კალაპოტის სქემა (ნახ.1) გვიჩვენებს, მეორე გვირაბის წინ ვერე მკვეთრად უხვევს. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ წყალმოვარდნის დროს ეს ადგილი გახდა წყლის მასშტაბური შეგუბების ერთ-ერთი ლოკალური წერტილი. ამას, გვირაბის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად, სავარაუდოდ ხელი შეუწყო ვერეს კალაპოტის ბუნებრივმა გეომეტრიამ. სავარაუდოა, რომ ამიტომ კატასტროფის შემდეგ დახურული კალაპოტის აღდგენის პროცესში ამ ადგილს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს. ამიტომ, მომავალში პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, მოხდა მეორე გვირაბის შესასვლელი პორტალის მოდერნიზაცია მიმმართველი კედლების მონტაჟის საშუალებით. ეს მიშენება ძაბრის მსგავსია და მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს წყლის შედინებას გვირაბში. მიშენების პირველი სეგმენტები გვირაბის ღერძის პარალელურია, ხოლო მეორე სეგმენტები, რომელთა სიგრძე დაახლოებით 5 მეტრია, ქმნიან კუთხეებს: $\gamma \approx 20^\circ$ და $\delta \approx 30^\circ$. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი ტექნიკური ცვლილება, არა თუ წყალმოვარდნის, არამედ საკმარისად ინტენსიური წვიმის შემთხვევაშიც კი, შეიძლება გახდეს წყლის შეგუბების მიზეზი, ანუ შეამცირებს წყლის ხარჯს გვირაბში. საქმე ისაა, რომ მიმმართველი კედლები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაყენებული არიან არასწორად, აუცილებლად შექმნიან შემხვედრ წყლის ნაკადებს, რომელთა შეჯახება მოხდება გვირაბის შესასვლელთან ახლოს. შემხვედრი ნაკადების წარმოქმნას, ანუ დინების სეპარაციას კედლებთან შეჯახებამდე, შეიძლება ხელი შეუწყოს აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ მეორე გვირაბის წინ ვერეს კალაპოტს გააჩნია მეჩეჩი. ამიტომ, თუ მოხდება დაშორიშორებული ნაკადების შეჯახება, დაარა მათი რბილიშერწყმა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ პარალელური ნაკადების ურთიერთქმედებისას, შეჯახების შემდეგ სავარაუდოა უკუნაყადების წარმოქმნა. დახურული კალაპოტის აღდგენის შემდეგ ინტენსიური წვიმების დროს წყლის შეგუბება მეორე გვირაბის წინ მოხდა. ამის პირდაპირი ინდიკატორია წყლის დონე გვირაბში, რაც დაფიქსირებული იქნა ფოტოსურათებზე მაგალითად: 11.06.2017 წ. და 7.07.2017 წ. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი შემთხვევა, როცა დაუზუსტებელი მონაცემებით ნალექებმა შეადგინეს $\approx 20 \text{ მმ}$, რაც არის არა უმეტეს 20% იმ ნალექებისა, რომელთაც გამოიწვიეს 13.06.2015 წ. კატასტროფული წყალდიდობა. ეს ფაქტი უდავოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ჩვენი აზრით, პირდაპირ არის დაკავშირებული არასწორ ტექნიკურ გადაწყვეტილებასთან. ასეთი შეხედულების

დასასაბუთებლად შესაფერისად მიგვაჩნია მიემართოთ იდეალური სითხის ჭავლების თეორიას. კერძოდ მიგვაჩნია, რომ, თუ მოვახდენთ წყლის ნაკადების აპროქსიმაციას ჭავლებით, შესაძლებელი იქნება მეორე გვირაბის წინ წყლის შეგუბების ფიზიკური მიზეზის ცხადად წარმოჩინება.



ნახ 3. ვერეს დახურული კალაპოტის სქემა


იდეალური უკუმშვადი სითხის ჭავლების ჰიდროდინამიკურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჭავლების შეჯახების პრობლემას. ცნობილია ორი ან რამდენიმე ჭავლის შეჯახების ამოცანის რამდენიმე ვარიანტი. ყველა მათგანის ანალიზური ამონახსნი ზოგადად არაცალსახაა, რადგან დამოკიდებულია თავისუფალ პარამეტრზე [9]. ჩვეულებრივ, ეს პარამეტრია კუთხე პირდაპირ ჭავლსა და დაჯახების შედეგად წარმოქმნის უკუჭავლს შორის.



ნახ 4.

არაცალსახობის მიზეზის გრაფიკულ ილუსტრაციას წარმოადგენს ნახ. 4, რომელიც შეესაბამება ორი ერთნაირი ინტენსივობის (წყლის ხარჯის) მქონე ჭავლის პირდაპირი კუთხით შეჯახებას. ამ იდეალიზირებულ კერძო შემთხვევაში შედეგი ცალსახაა, რადგანაც შეჯახების შემდეგ წარმოქმნილი ჭავლები პირდაპირი ჭავლების იდენტურია. ამასთან, შეჯახების არეში წარმოიქმნება ე.წ. სტაგნაციის ზონა, რომელსაც ჭავლების პარამეტრების შესაბამისი გარკვეული ხაზოვანი ზომა გააჩნია. თუ პირველადი ჭავლების ინტენსივობა განსხვავებულია, ხოლო მათი შეჯახება ხდება ნებისმიერი კუთხით, შესაბამისი ამოცანის

ანალიზური ამონახსნი არაცალსახაა, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, მოითხოვს თავისუფალი პარამეტრის აპრიორი ცოდნას. თუმცა, როცა ხდება ანალიზური ამონახსნის რიცხვითი მოდელირება, ეს ნაკლი შეიძლება ხელის შემშლელი არ აღმოჩნდეს მიახლოებითი რაოდენობრივი შეფასებისათვის. მაგრამ, სრულფასოვანი თვისებრივი ანალიზი, რომელიც წარმოაჩენს ჭავლების შეჯახების პროცესის ყველა ფიზიკურ მხარეს, შესაძლებელია მხოლოდ ანალიზური ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის საფუძველზე. ასეთი ტიპის ნაშრომებს შორის ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა [10], რომელის გეომეტრიული სქემა მოცემულია ნახ. 5.



ნახ. 5.

ამ ნახაზზე Q_1, Q_2, Q_3, Q_4 – წარმოადგენს A_1, A_2, A_3, A_4 ჭავლების სიგანეს, ანუ ინტენსივობას ბრტყელ მიახლოებაში (წყლის ხარჯი), $\theta_1, \theta_2, \theta_3, \theta_4$ – შესაბამისი ჭავლების კუთხე კოპლექსური სიბრტყის X-ღერძთან.

იდეალური სითხის ჭავლების სხვა ამოცანების ანალიზური ამონახსნების მსგავსად, ამონახსნი [10] ბრტყელია და შეიცავს თავისუფალ პარამეტრს. თუმცა შემდგომში აღმოჩნდა, რომ ასეთი შეზღუდვის ნაწილობრივი გამოსწორება შესაძლებელი ყოფილაკვლავ კონფორმული ასახვის მეთოდით. ცნობილია ასეთი რამდენიმე ამოცანა, რომელთა შორის აღსანიშნავად მიგვაჩნია ნაშრომი [11]. აქ განსაზღვრული ანალიზური კავშირი ჭავლების პარამეტრებს შორის არსებითად აძლიერებს [10] ნაშრომის ღირებულებას

$$Q_{2,4} = \frac{Q_1 Q_3 (1 - \cos \theta_3)}{Q_1 (1 - \cos \theta_{2,4}) + Q_3 (\cos \theta_{2,4} - \cos \theta_3)}. \quad (15)$$

(15) გამოსახულების სახით არსებობს პირობა, რომელიც აკავშირებს θ_3 კუთხით შეჯახებული ჭავლების ინტენსივობას დაჯახების შედეგად წარმოქმნილი უკუჭავლების ინტენსივობასთან, რისთვისაც საკმარისი ყოფილა ახალი ჭავლებიდან ერთ-ერთის, მაგალითად, A_2 ჭავლის Q_2 ინტენსივობისა მისი X ღერძთან დახრის θ_2 კუთხის ცოდნა. შესაბამი-

სად, შესაძლებელი ხდება ფორმულა (15)-იდან განისაზღვროს Q_4 , რისთვისაც, [11]-ის თანახმად, საჭიროა ვისარგებლოთ დამატებითი პირობით: $\pi \leq \theta_4 \leq \pi + \theta_3$. ამ შემთხვევაში უკუჭავლის მიმართულება კვლავ თავისუფალ პარამეტრად რჩება, თუმცა უკვე შესაძლებელი ხდება Q_4 ინტენსივობის განსაზღვრა კომპლექსური ტოლობიდან [10]

$$-Q_1 - Q_2 e^{i\theta_1} + Q_3 e^{i\theta_2} + Q_4 e^{i\theta_4} = 0. \quad (16)$$

ამრიგად, არსებობს ასიმპტოტური ანალიზის საშუალება მნიშვნელოვნად განსხვავებული ინტენსივობის მქონე სხვადასხვა ჭავლების შეჯახების შემთხვევაში, ანუ $\frac{Q_1}{Q_3}$ ფარდობის პრაქტიკულად ყველა შესაძლებელი მნიშვნელობისათვის. სწორედ მსგავსი ვითარება შესაძლებელია წარმოიქმნას ვერეს დახურული კალაპოტის მეორე გვირაბის შესასვლელის წინ, წყლის დონის ზრდის პროცესში, როცა თავდაპირველი წყლის ნაკადი, სავარაუდოდ, თანდათან უფრო უპირატესად უნდა შეეჯახოს მოპირდაპირე მიმართველ კედელს. შესაბამისად A_1 ჭავლი თანდათან უფრო ინტენსიური იქნება, ვიდრე A_3 . მაგალითად, შევავსოთ A_2 პირდაპირი ჭავლის ინტენსივობა მოდელური შემთხვევისათვის: $Q_1 = 2Q_3$. γ და δ კუთხეების ზემოთ მოცემული მნიშვნელობებისათვის $\theta_3 \approx 130^\circ$, ხოლო θ_2 განუსაზღვრელი რჩება. თუმცა, თუ გვირაბის ღერძი Y ორდინატს ემთხვევა, ამ ღერძის მიმართ ჭავლების დახრიდან გამომდინარე გვექნება: $\frac{\pi}{2} - \delta \leq \theta_2 \leq \frac{\pi}{2} - \gamma$. ე.ი., სავარაუდოდ, $60^\circ \leq \theta_2 \leq 70^\circ$. თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ შეზღუდვას (15) გამოსახულებიდან პირდაპირი ჭავლისათვის გვექნება $Q_2 \approx 1.7 Q_3$. ამრიგად, რადგანაც შეჯახებამდე ჯამური წყლის ხარჯი $Q = 3Q_3$, მივიღებთ, რომ A_4 ჭავლის ინტენსივობა $Q_4 \approx 1.3 Q_3$. რაც შეეხება უკუ ჭავლის მიმართულებას, ანუ θ_4 კუთხეს, მის სიდიდეს, წყლის შეგუბების ეფექტზე გავლენის თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, სწორედ უკუ ჭავლი აყალიბებს სტაგნაციის ზონას მაშინ, როდესაც წყლის შეგუბების გამომწვევი სხვა ფაქტორები არ არსებობენ, ან მათი მოქმედება ნივლეირებულია. ამრიგად, მოსალოდნელია, რომ ხაოიანობის ეფექტის მსგავსად, მეორე გვირაბის წინ დამონტაჟებული მიმართველი კედლები შეამცირებენ წყლის ხარჯს მეორე გვირაბში. ამრიგად, თუ ნალექი ექსტრემალურ დონეს მიაღწევს, ყველა ნეგატიური ფაქტორის ერთობლივი მოქმედება დახურულ კალაპოტში გარდაუვლად გამოიწვევს წყლის სწრაფ შეგუბებას მდინარე ვერეს ხეობაში. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე ვერეს ხეობის მონაკვეთზე 13.06.2015წ. ღამეს ჩამოყალიბებული სპონტანური საგუბარის სავარაუდო მოცულობა უნდა ყოფილიყო $W_2 \approx 1.6 \cdot 10^6 \text{ მ}^3$. მისი გავსების შემდეგ მოხდა წყლის გადადინება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კატასტროფული წყალდიდობის მასშტაბი.

წყლის ხარჯის მოდელური შეფასება

ცნობილია რამდენიმე განსხვავებული მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია წყლის ხარჯთან 13.05.2015 წლის კატასტროფული წყალმოვარდნის დროს [7,8]. ჩვენი შეხედულებით, ეს მონაცემები სადავოა. მიგვაჩნია, რომ შეფასების საფუძველი უნდა იყოს არა ზედმეტად დეტერმინირებული, თანაც არც თუ საიმედო, რაოდენობრივი მონაცემები, არამედ მათემატიკურად გამყარებული თვისებრივ-რაოდენობრივი ანალიზი. ამისათვის შეიძლება მივმართოთ ჰიდროდინამიკურ თეორიას, რომელიც იძლევა რეალური ვითარების კორექტულად მოდელირების საშუალებას. კერძოდ, წყალმოვარდნის დროს წარმოქმნილი

სპონტანური საგუბარების დაცლის პროცესის ანალიზის დროს საჭიროა გამოვიყენოთ ფიზიკური ანალოგია რეზერვუარიდან დიდი ზომის ხვრელში წყლისგადინების მოვლენასთან. ამ დროს საჭიროა წყლის ხარჯის ფორმულაში გათვალისწინებული უნდა იყოს ე.წ. წყლის ნაკადის კუმშვის ეფექტი. ამ მოვლენას რაოდენობრივად ასახავს ემპირიული გზით განსაზღვრული კოეფიციენტი $\epsilon=0.6-0.7$. პირველი მნიშვნელობა შეესაბამება ისეთ რეზერვუარს, რომლის სიმაღლე ხვრელიდან საგუბრის ზედაპირამდე მინიმუმ 3-ჯერ ნაკლებია ხვრელის დიამეტრზე, ხოლო მეორე-ე.წ. „სრულყოფილ“ სიტუაციას, ანუ როცა $h > 3d$. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დახურული კალაპოტის გვირაბების სიმაღლე $h = 9d$, რადგანაც მააპროქსიმირებელი მილის დიამეტრი $D = 8 d$, შეგვიძლია მივიღოთ, რომ $\epsilon \approx 0.65$. ამიტომ, წყლის ხარჯის სიდიდის შეფასებისათვის ქვემოთ გამოყენებული იქნება ფორმულა (2)-ის შემდეგი მოდიფიკაცია [2,4]

$$Q = 0.65\pi \left(\frac{D}{2}\right)^2 \bar{v}, \quad (17)$$

სადაც \bar{v} – წარმოადგენს გვირაბში (რეზერვუარის ხვრელში) წყლის დინების საშუალო ჰიდროდინამიკურ სიჩქარეს. ეს პარამეტრი განსხვავდება გვირაბის შესასვლელში წყლის სიჩქარისაგან, რომელიც დამოკიდებულია ჰიდრაულიკურ წინააღმდეგობაზე. ამიტომ ის უნდა განისაზღვროს (13),(10),(6),(7),(9) და (8) ფორმულების საშუალებით. პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ წყლის მაქსიმალური სიჩქარე გვირაბის შესასვლელში, რომელიც დამოკიდებულია საგუბარში წყლის დონეზე. როცა გვირაბის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობა გამოწვეულია მისი შიდა ზედაპირის ხაოიანობით, ეს პარამეტრი გვირაბში წყლის დინების მოძრაობის სიჩქარის ერთ-ერთი მახასიათებელია. რადგანაც ეს სიჩქარე ცვლილია, შემდგომი მიახლოებითი რიცხვითი შეფასებებისათვის საჭიროა განისაზღვროს მისი საშუალო სიდიდე. ამისათვის ყველაზე უფრო უპრიანია (13) ინტეგრალური ფორმულის გამოყენება, თუმცა, აგრეთვე დასაშვებია მექანიკური საშუალოს განსაზღვრა (12) ფორმულის საშუალებით. კერძოდ, რადგანაც $H_0 = 17d$ (13)-იდან გვექნება $\bar{u}_1 \approx 12.2 \text{ მწმ}^{-1}$, ხოლო (12)-იდან $\bar{u}_2 = \frac{u_{max}}{2} \approx 9,2 \text{ მწმ}^{-1}$. რადგანაც ამ სიდიდეებს შორის სხვაობა საკმაოდ მცირეა, შემდგომში გამოვიყენოთ მათი საშუალო $\bar{u}_2 \approx 11.7 \text{ მწმ}^{-1}$, როგორც გვირაბში წყლის შედინების მახასიათებელი სიჩქარე.

შემდეგი ნაბიჯია დინამიური სიჩქარის მნიშვნელობის განსაზღვრა (10) ფორმულიდან გვირაბის შიდა ზედაპირის $k=15\text{მმ}$ ხაოიანობისათვის; $\mathcal{V}_* \approx 0,7 \text{ მწმ}^{-1}$ ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის ნახევრადემპირიული ფორმულების განსხვავებულობის გამო გამოვიყენოთ ორივე მათგანი. ამრიგად, (6) და (7) მოგვცემს: $\lambda_1 \approx 0.047$ და $\lambda_k \approx 0.13$. შესაბამისად, (8)-იდან გვექნება გვირაბში წყლის დინების საშუალო ჰიდროდინამიკური სიჩქარის ორი მნიშვნელობა: $\bar{v}_1 \approx 9.1 \text{ მწმ}^{-1}$ და $\bar{v}_2 \approx 5,5 \text{ მწმ}^{-1}$. (9) ფორმულიდან მიიღება მხოლოდ ერთი სიდიდე: $\bar{v}_3 \approx 5.4 \text{ მწმ}^{-1}$. ამრიგად, (17) ფორმულა იძლევა წყლის ხარჯის შემდეგ სავარაუდო მნიშვნელობებს:

$$Q_1 \approx 298 \text{ მ}^3 \text{ წმ}^{-1}, Q_2 \approx 180 \text{ მ}^3 \text{ წმ}^{-1}, Q_3 \approx 177 \text{ მ}^3 \text{ წმ}^{-1}. \quad (18)$$

ამრიგად 13.05.2015 წლის კატასტროფული წყალდიდობის დროს, სვანიძის ქუჩაზე წარმოქმნილი საგუბარის დაცლის პროცესში, დახურული კალაპოტის პირველ გვირაბში წყლის ხარჯის სიდიდის ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია. პირველ რიგში, ეს ფაქტი

დაკავშირებულია ლაბორატორიული ექსპერიმენტებით დადგენილი მორფოლოგიური კავშირების ნახევრად ემპირიული ხასიათიდან. ამის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა ჰიდროდინამიკური პარამეტრების ფუნქციონალური დამოკიდებულების გამოსახვა რომელიმე უნივერსალური ანალიზური ფორმულით დადგენილი კავშირების რაოდენობრივი მახასიათებლების ზუსტი განსაზღვრა. სწორედ ამიტომ (8) ფორმულაში გამოყენებული იყო ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის ორი განსხვავებული სიდიდე, რაც შესაბამისად აისახა მნიშვნელოვან სხვაობაში წყლისხარჯის სიდიდეში. თუმცა (8)-ის ალტერნატიული (9) ფორმულით მიღებული Q_3 სიდიდე ფაქტიურად დაემთხვა Q_2 -ს, რაც გარკვეულწილად შეიძლება ნიშნავდეს (7) ფორმულის უპირატესობას (6)-თან შედარებით. ჩვენი შედეგების [7,8] ნაშრომების მონაცემებთან შედარება გვიჩვენებს მნიშვნელოვან რაოდენობრივ სხვაობას, რაც აშკარად დაკავშირებულია წყლის ხარჯის გამოთვლის მეთოდისკასთან. კერძოდ [6]-ში გამოყენებულ იყო ვერეს კალაპოტში დინების მახასიათებელი სიჩქარის ორი მნიშვნელობა: $v_1 = 4\theta\text{წმ}^{-1}$ და $v_2 = 6\theta\text{წმ}^{-1}$, რომელთათვისაც განსაზღვრული იქნა წყლის ხარჯის ორი სავარაუდო ინტერვალი: $Q_1 \approx 220 - 480\theta^3\text{წმ}^{-1}$ და $Q_2 \approx 320 - 720\theta^3\text{წმ}^{-1}$. ასევე, დინების სიჩქარის იგივე v_2 სიდიდისათვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშში [7] მოცემულია სიდიდე $Q = 468\theta^3\text{წმ}^{-1}$. აქ აგრეთვე ნახსენებია წყლის ხარჯის ისტორიული მაქსიმუმის სიდიდე $Q=259\theta^3\text{წმ}^{-1}$, რომელიც განისაზღვრა 1960 წლის 5 ივლისის წყალმომარდნის ირიბი მონაცემებით. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით, თუ რანაირად მოხდა ასეთი ხარჯის განსაზღვრა, ეს სიდიდე საკმაოდ რეალურად მოსჩანს, რადგან (18)-ის თანახმად, ახლოსაა Q_3 -თან. ასეთი მსგავსება ადასტურებს ვარაუდს 13.05.2015 წ. წყალმომარდნა და 04.07.1960 წყალმომარდნის თანაზომადობასთან დაკავშირებით.

მოცემული ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია წყალმომარდნის დროს სვანიდის ქუჩაზე და თამარაშვილის მაგისტრალსა და გაბაშვილის ქუჩებს შორის წარმოქმნილი დროებითი საგუბარების მოცულობის რეალურად შეფასება. ამასთან დაკავშირებით უნდა ავლნიშნოთ, რომ უშუალოდ კატასტროფის შემდეგ I საგუბარის სავარაუდო მოცულობა აშკარად არ იყო კორექტულად შეფასებული. შესაძლოა, რომ შეცდომა გამოიწვია ახალდაბის მიდამოში ჩამოწოლილი მძლავრი მეწყრის ეფექტის მცდარმა ინტერპრეტაციამ, რომლის მიხედვით მოხდა ხეობის ჩაკეტვა და ამის გამო, დიდი მოცულობის მქონე ღვარცოფული მასის დაგროვება. ამ შეხედულების უსაფუძვლობა აშკარაა, თუ მაგალითად, დავეყრდნობით წყალმომარდნის ერთერთი უშუალო დამკვირვებლის ინფორმაციას, რომლის თანახმად სვანიდის ქუჩაზე წარმოქმნილი I საგუბარი დაიცალა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში [6]. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს მიერ ზემოთ განსაზღვრული I საგუბარის სავარაუდო მოცულობა $W_1 \approx (3.1 \cdot 10^5 - 4.4 \cdot 10^5)\theta^3$. დამკვირვებლის ამ ცნობის შესაბამისად, საგუბარის მოცულობის ამ ინტერვალში, მის დაცლისათვის საჭირო იყო წყლის ხარჯი $Q_* \approx /258 - 370/\theta^3\text{წმ}^{-1}$. შესაძლოა, ამ ინტერვალის ქვედა სიდიდე საკმაოდ რეალური იყოს, რადგანაც მეტნაკლებად შესაბამისობაშია 5.07.21960 წ. ისტორიულ მონაცემთან. გარდა ამისა, ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებით (18) გვექნება I საგუბარის დაცლის მახასიათებელი დროის ორი ინტერვალი, რომელთაგან პირველი ფაქტიურად ემთხვევა დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებულ დროს

$$t_1 = W_1/Q_1 \approx 17 - 25 \text{ წთ}, t_2 = W_1/Q_{2,3} \approx 29 - 40 \text{ წთ.}$$

თუმცა, მიუხედავად ასეთი თანხედენისა, ბუნებრივია, რომ არ შეიძლება გამოვრიცხოთ გარკვეული სკეპტიციზმი დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით.

დასკვნა. მრავალწლიანი გამოცდილებით ცნობილი იყო, რომ მდინარე ვერეს ადრეული პირველი ორი გვირაბის შესასვლელი პრაქტიკულად ყოველთვის წარმოადგენდა ყველა მასშტაბური წყალდიდობის საწყის ადგილს. როგორც 13.06.2015 წლის კატასტროფულმა წყალმოვარდნამ აჩვენა, ხელოვნური დახურული კალაპოტის შემადგენელი ახალი გვირაბების აგებისა და ძველი გვირაბების მოდერნიზაციის შემდეგ წყალდიდობის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. ამას, სავარაუდოდ, პირველი გვირაბის შესასვლელის დროებით ჩახერგვასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დახურული კალაპოტის შიდა ზედაპირის ხაოიანობამ და ამ გვირაბის მინაშენის კრიტიკულმა სიმრუდემ. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ფაქტი, რომ სივრცეში პირველი გვირაბის გამოსასვლელსა და ბოლო გვირაბის შესასვლელს შორის დატბორვა განვითარდა პირველი გვირაბის შეზღუდული გამტარუნარიანობის დროს, როცა მისი შესასვლელი ჩახერგილი იყო. ამ დროს თამარაშვილის მაგისტრალი, რომლის ქვეშ გადის პირველი გვირაბი, წყალგამყოფი აღმოჩნდა, განსხვავებით ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ბერძენიშვილის ქუჩისაგან, რომლიდანაც მოხდა წყლის გადადინება ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე მონაკვეთზე მეორე საგუბარის წარმოქმნის გამო. ამიტომ, საკმაოდ სარწმუნოდ წარმოგვიდგება მოსაზრება, რომ პირველი გვირაბის გარდა, ლოკალური დატბორვის ეფექტი წარმოიქმნა აგრეთვე სხვა გვირაბების შესასვლელებშიც. პირველ რიგში, ასეთი ადგილი აღმოჩნდა მეორე გვირაბი, და სავარაუდოდ, ბოლო მოდერნიზირებული გვირაბი, რომელიც აერთებს ვერეს მტკვართან. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მომავალში ვერეს ხეობაში წყალდიდობის განმეორების კატასტროფული შედეგების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა დახურული კალაპოტის ყველა ტექნიკური ხარვეზის სრულფასოვანი ანალიზი. ამის დასტურად ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ამონარიდი ნორმატიული მოთხოვნების კრებულიდან [12].

1. ზოგადი დებულებები

1.1. ახალი და არსებული ჰიდროტექნიკური გვირაბების რეკონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები (მუშაობის ჰიდრაულიკური რეჟიმი, გაყვანის სიღრმე, განლაგება გეგმაში და გრძივ პროფილში, განივი კვეთა, მოპირკეთების ტიპი და სხვა) მიღებული უნდა იქნას ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ვარიანტების შედარების საფუძველზე ჰიდროკვანძის, მელიორაციული სისტემის ან წყალმომარაგების სისტემების ნაგებობის ზოგადი შემადგენლობის გათვალისწინებით, მათი ექსპლუატაციის პირობების, გვირაბების დანიშნულების, დაგეგმილი სამუშაოების საშუალებების და ვადების, მშენებლობის რაიონის ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, კლიმატური და სხვა პირობების გათვალისწინებით.

საპროექტო გადაწყვეტილების არჩეული ვარიანტი უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობის გამძლეობას, მდგრადობას და ეკონომიურობას, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ინდუსტრიალიზაციის და მექანიზაციის შესაძლებლობას, გვირაბების ოპტიმალურ საექსპლუატაციო ხარისხს.

1.2. I და II კლასის ძირითადი ჰიდროტექნიკური გვირაბების პროექტებში გათვალისწინებული უნდა იქნას საკონტროლო-საზომი აპარატურის მონტაჟი მშენებლობის პრო-

ცესში და მისი ექსპლუატაციის პერიოდში ნაგებობების მუშაობაზე ნატურული (ბუნებრივ გარემოში) დაკვირვებების ჩატარების მიზნით, გვირაბების მოპირკეთების, მისი მიმდებარე გრუნტის, ჰიდრავლიკური და ფილტრაციის რეჟიმების მდგომარეობის შესაფასებლად.

2. გვირაბის ტრასა და განივი კვეთა

2.1. ჰიდროტექნიკური გვირაბების პროექტირებისას შეძლებისდაგვარად უნდა იქნას თავიდან აცილებული უბნები, რომლებიც განლაგებულია გვირაბის მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ არახელსაყრელ პირობებში (მნიშვნელოვანი ტექტონიკური რღვევები, აირგამოყოფა, მიწისქვეშა წყლების ნაკადი, მეწყერები, კარსტები), ასევე უბნები, რომლებიც ხასიათდება არახელსაყრელი სანიტარული პირობებით (ცხოველთა სამარხები, სასაფლაოები, ნაგავსაყრელები, ფილტრაციის ველები).

2.2. გვირაბის ტრასა უნდა იყოს სწორხაზოვანი და მინიმალური სიგრძის. არასწორხაზოვანი ტრასის მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამოწვეულია ჰიდროკვანძის შედგენის მოთხოვნებით, დამატებითი სანგრევის გახსნის აუცილებლობით ან გვირაბის საკმარისი სიღრმის უზრუნველსაყოფად, ასევე, როცა აუცილებელია 2.1 პუნქტში მითითებული გვირაბის არახელსაყრელ პირობებში განლაგების თავიდან აცილება.

2.3. დაწნევითი გვირაბის მთელს სირგმეზე თაღის ჭრილის ქვეშ უზრუნველყოფილი უნდა იქნას წნევის მარაგი არანაკლებ 0,02 პასკალი.

2.4. გვირაბის ტრასის მოხვევის კუთხეები გეგმაში წყლის ჭავლის 10მ/წმ ნაკლები სიჩქარისას მიღებული უნდა იქნას არაუმეტეს 60°, ხოლო მომრგვალების რადიუსი – არანაკლებ გვირაბის ხუთი განის (დიამეტრის) ჯამური სიგანის. მოხვევის კუთხის გაზრდა და მომრგვალების რადიუსის შემცირება მოცემულთან შედარებით, ასევე მათი დაშვებული მნიშვნელობები წყლის ნაკადის 10მ/წმ მეტი სიჩქარის დროს აუცილებელია მიღებულ იქნას ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე.

2.5. გვირაბის მრუდხაზოვანი ტრასის საწყისი და საბოლოო უბნები უნდა იყოს სწორხაზოვანი სიგრძით, არანაკლებ გვირაბის განისა (დიამეტრის), მინიმუმ 6მ.

2.6. გვირაბების გრძივი კვეთის ზომები უნდა განისაზღვროს ჰიდრავლიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების საფუძველზე.

2.7. ცვლადი ჰიდრავლიკური რეჟიმისა და გვირაბში წყლის 10მ/წმ მეტი სიჩქარის შემთხვევაში განივი კვეთის ზომები აუცილებელია დაზუსტდეს ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, ანალოგიურ პირობებში არსებული გვირაბების ექსპლუატაციის გამოცდილების გათვალისწინებით.

2.8. წყლის დონის ზემოთ არსებული საჰაერო სივრცის სიმაღლე უწნევო გვირაბში ნაკადის 10მ/წმ-მდე სიჩქარით დადგენილი მოძრაობისას მიღებული უნდა იქნას ჰიდრავლიკური გათვლებით, მაგრამ არანაკლებ 0,07 გვირაბის სიმაღლისა და არანაკლებ 40 სმ.

ლიტერატურა

1. კერესელიძე ზ., შერგილაშვილი გ. მდინარე ვერეს 13.06.2015 წლის წყალმოვარდნა და დახურული კალაპოტის ჰიდროდინამიკური პრობლემა. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ LXVI, 2016, გვ. 199-221.
2. Лойцянский Л.Г. Механика жидкости и газа. Москва: Наука, 1973, гл. X. , 847 с.

3. Ландау Л.Д., Лифшиц Е.М. Гидродинамика. Гл.4, Москва, Наука, 1988, 733с.
4. Шлихтинг Г. Теория пограничного слоя. Гл. XX, Москва, Наука, 1974, 711 с.
5. СП 102.13330.2012.Туннели гидротехнические. Актуализированная редакция, СНиП 2.06.09-8, 2012.
6. კერესელიძე დ., ალავერდაშვილი მ., ცინცაძე თ., ტრაპაიძე ვ., ბრეგვაძე გ.რა მოხდა 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს წყალშემკრებ აუზში.თბილისი,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015 წ. 40გვ.
7. CNN საქართველო მდინარე ვერეს 2015 წლის 13 ივნისის წყალმოვარდნა. ანგარიში მომზადდა „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის – ADC -ის მხარდაჭერით. თბილისი 2015 წ. 35გვ.
8. Landau L.D., Lifshitz E.M. Hydrodynamics. Moscow, Publishing House NAUKA, 1988, v. 4 (in Russian).
9. Гуревич М.И. Теория струй идеальной жидкости. Москва, Наука, 1979, 536 с.
10. Биргкоф Г., Сарантоннело Э. Струи, следы и каверны. Москва, Мир, 1964.
11. Белоцерковский П. О соударении двух свободных плоских струй идеальной несжимаемой жидкости. В кн.Материалы всесоюзной конференции по краевым задачам. Казань, 1970, изд.казанскогогосуниверситета.
12. Building Normsand Rules. Hydrotechnicaltunnels. Actualizedpublication, SNiP 2.06.09-8 SP 102.13330.2012 (in Russian).

წყლის ხარჯის შეფასება მდინარე ვერეს 13.06.2015 წლის წყალმოვარდნის დროს

კერესელიძე ზ., ხვედელიძე ი.

რეზიუმე

1962 წლიდან უკანასკნელი კატასტროფული წყალმოვარდნის მომენტამდე სვანობის ქუჩაზე მდებარე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰიდროლოგიურ სადგურში მიმდინარეობდა უწყვეტი დაკვირვება მდინარე ვერეს ჰიდროდინამიკური რეჟიმის პარამეტრებზე. ნებისმიერი სხვა მდინარის მსგავსად, ვერესათვისაც მთავარი მახასიათებელია წყლის ხარჯის ცვლილება ექსტრემალურ მეტეოროლოგიურ პირობებში. ამ თვალსაზრისით იგი ტიპური მთის მდინარეა, რადგანაც ვერეს, ნახევარსაუკუნოვანი მონიტორინგის მონაცემების თანახმად, ახასიათებს წყლის ხარჯის მკვეთრი ცვლილება: $Q_{max} \approx 10^2 * Q_{min}$ მინ კერძოდ, ხშირად განმეორებადი წყალმოვარდნების დროს სისტერმატიურად იტბორებოდა ვერეს ხეობის უკანასკნელი მონაკვეთი თამარაშვილის მაგისტრალსა და ზოოპარკს შორის. თუმცა, უკანასკნელი წყალმოვარდნის მასშტაბმა ყველა ადრეულ მოვლენას გადააჭარბა. ჩვენი შეხედულებით ამაში გამორჩეულად ნეგატიური როლი შეასრულა ვერეს ხეობაში 2011 წელს ექსპლოატაციაში შესულმა ჩქაროსნული გზის მონაკვეთმა. მისი კონსტრუქციის ძირითადი ელემენტია რამდენიმე გვირაბისაგან შემდგარი დახურული კალაპოტი, რომელსაც აუცილებლად გააჩნია მნიშვნელოვანი ჰიდრავლიკური წინააღმდეგობა, ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია თამარაშვილის მაგისტრალის ქვეშ გამავალი გვირაბი (მიწისქვეშა ხიდი), რომლის სიგრძე რეკონსტრუქციის შედეგად არსებითად გაი-

